ხუთშაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 7 (20)

წელიწადი მესამე

ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადებისათვის სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღია დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 197

ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი

№ 197

# გაზეთის შინაარსი

## საგულისხმო ცნობები

ოსმალთა და გერმანელების ჯარი ბაღდადზე იწყებს შემოტევას.

სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევის საკითხი კვლავ განახლდა.

კერენსკი კონტრ-რევოლუციის დასამარცხებლად შემდგარ კომიტეტების გაუქმებას მოითხოვს და ურჩობისათვის იმუქრება.

კალედინი ატამანის თანამდებობიდან გადადგა.

ინგლისი სალამს უძღვნის რუსეთის რესპუბლიკას.

პეტროგრადის ქალაქის საბჭო სიკვდილით დასჯის მოსპობას მოითხოვს.

პეტროგრადისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში სწავლა შობამდის არ დაიწყობა.

## წერილები

გ. ქ. ნაციონალიზაცია.
რ. ინგილო—პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი.
ბრანდესის წერილიდან—რუსეთზე.
რუსული პრესა: „რატომ არ გვაძლევს პურს ჩრდილო კავკასია?“
ქართული პრესა: „ერთობა“ და ეროვნული საკითხი.

ინ—ბანი—პატარა ფელეტონი.
ვლ. მაჭარაშვილი—ბერ-მონაზონთა კრება.
ინჟ. გ. ჟიჟინაძე—წყლის ენერგიის მოხმარების კანონი.

კორესპონდენცია: სამეგრელოდან და მთიულეთიდან.

საქართველოს საეკლესიო კრება.

გაზეთ „საქართველოს“
# კონტორისაგან
რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,
გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთამდე, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 ხუქტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ვთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.

მწუხარებით გულმოკლულნი მღ. გაბრიელ გრიგოლიასძე, ელიზბარი, თამარ, შალვა, ნინო, ელისაბედი, ბარძიმა და დარია აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას: პირველის ცოლისა, მეორეების დედისა და უკანასკნელთ სიდედრის
## მარიამ თეოფანეს ასულის
# კარბელაშვილისას
## (ასული ჯიჯავაძისა)
გარდაიცვალა ენკენისთვის 4-ს დილის 2 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე ნავთლუღში მიცვალებულის ბინაზე (რიტეროვის ქუჩა წმიდა ბარბარის ეკლესიის პირდაპირ) მიცვალებულის დასაფლავება მოხდება ენკენისთვის 7-ს დილის 10 საათზე, წმ. ბარბარეს ეკლესიაში. დაკრძალვა ეკლესიის გალავანში.
2—776—2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
## ნაძალადევის კომიტეტი
აუწყებს თავის უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთ, რომ ორშაბათს, საღამოს 7 საათზე, ეკლესიის სკოლაში, დანიშნულია მორიგი
# პარტიული კრება
ფრიად საჭირო საკითხების განსახილველად.

## თბილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგ.
## გამგე კომიტეტი
აცხადებს, რომ 10 ამა ენკენისთვეს საღამოს შვიდ საათზედ ქართულ გიმნაზიაში დანიშნულია საზოგადოების
# საგანგებო კრება
განსახილველად:
1) საკითხი ქართული გიმნაზიის ნივთიერი მდგომარეობისა და სწავლის ფულის მომატების შესახებ; 2) მიმდინარე საქმეები და 3) არჩევნები გამგე კომიტეტისა.
2—762—1

ექიმი
## დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—11

ექიმი
## გ. გ. მუხაძე
იღებს ხირურგიულ ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ...თა სავაჭრო სასწავლებლის შენობის პირდაპირ; სახლი სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
## ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბავშვო და საშვილოსნო ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: მეტეხის ... ქუჩა № 7.

ექიმი
## ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—16)

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველ დღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროსპ. № 86, შეფიანს სახლი...

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმის თანაშემწე
## ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
13—748—თ.

ექიმი
## მ. გ. ვეშაპიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალისა
## ე. ივ. გალაჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და ...ის ქუჩის კუთხე № 20.

# ნაციონალიზაცია

ჩვენი სამშობლო იშორებს მახინჯ კოსმოპოლიტიკურ ნიღაბს, რომელიც უხასიათო მეცხრამეტე საუკუნემ გვიანდერძა და თავის გამოკვეთილ ეროვნულ პროფილს აშკარავებს. ამაშია დედა აზრი იმ ღრმა ცვლილებისა, რომელიც რევოლუციის დროს ხდება ახ ქართველის ტემპით. აღორძინების წინათგრძნობა თითქმის ხელშესახებ ჭეშმარიტებათ იქცა და თუ რაიმე მოულოდნელმა გარეშე კატასტროფამ ხელი არ შეგვიშალა, ჩვენ თაობას იმედი უნდა ჰქონდეს რომ კიდევ მოესწრობა ძლიერი ქართული კულტურის აყვავებას.

რამდენი ათეული წელი იყო საჭირო იმის მისაღწევად, რასაც ექვსიოდე თვის განმავლობაში მივაღწიეთ რევოლუციის წყალობით? ჩვენმა ჯანსაღმა და მამაცმა დემოკრატიამ თითქმის ერთის დაკვრით დაიპყრო ჩვენი ქალაქები, რომელიც ძველმა ყოფილმა უიმედო და უილაჯო თაობებმა დაჰკარგეს. ჯერ კიდევ სავსებით არ შეგვიძლია იმ ფაქტის ღირსეულად აწონ-დაწონვა და დაფასება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები ქართველ დემოკრატიის ხელში გადავიდა გუშინდელ დღიდან. ჩვენ დავიბრუნეთ დედა ქალაქი, რომელსაც მეზობლები დიდხანს თავგამოდებით გვეძავებოდნენ. მაგრამ თბილისი ჯვარედინ გზების შუა პუნქტია და მისი ხელში ჩაგდება კულტურული მეთაურობის ხელში ჩაგდებას ნიშნავს ამიერ კავკასიაში.

ქართული ეკლესია თავისუფლდება სინოდის ზედამხედველობისაგან და თვითწყსობას აწარმოებს. შეიძლება ამ მოვლენამ ახალი სული ჩაბეროს ჩვენს მოდუნებულს სარწმუნოებრივს ცხოვრებას და ჩვენი სასულიერო ხელოვნების შესწავლა გააცხოველოს. ეს დიდათ ხელსაყრელი იქნება მთლიანი ეროვნული სახის აღდგენისათვის, მიტომ რომ საეკლესიო ხუროთ მოძღვრება და მხატვრობა ერთი წარუვალი ელემენტია თავისებური ქართული შემოქმედებისა.

დღეს თუ არა ხვალ ქართული სკოლის ნაციონალიზაციაც უნდა მოხდეს და რუსთველის, ბესიკის და აკაკის ენა საფუძვლად უნდა დაედოს როგორც პირველ დაწყებითს, ისე ჰუმანიტარულ და რეალისტურ განათლებას. ეს უეჭველია ხელს შეუწყობს ჩვენი დავადებული ეროვნული სულის გაჯანსაღებას, მიტომ რომ სიტყვა გონების გამოხატულებაა და უცხო ენა ძალმომრეობას ახდენდა და რყვნიდა ჩვენი ნორჩი ახალგაზრდობის ბუნებას.

დარჩა ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს ნაციონალიზაციას. ესაა ჯარი. ლლოიდ ჯორჯმა სამართლიანად სთქვა, რომ თავისუფლების საკურთხევლის დაცვა არ შეიძლება ყვავილების წნულებით...

რატომ არ შეიძლება ქართული ეროვნული რაზმები არსებობდეს, თუ კი ინგუშებისა, ჩაჩნებისა, ჩერქეზებისა და ყაზახ-რუსების განსაკუთრებული რაზმები არსებობს? ქართველმა ერმა საკმაო პოლიტიკური სიმწიფე გამოიჩინა, დემოკრატიის უფლებებს ქართველი ჯარი ყოველს შემთხვევაში უფრო თავგამოდებით დაიცავს ვიდრე ველური დივიზია ან ყაზახრუსობა. ჩვენმა სამშობლომ რუსეთის ლაშქარს მისცა საუკეთესო ნაწილი, რომელიც მას ოდესმე უნახავს: კავკასიის მეორე კორპუსი. ამ კორპუსმა საზღაპრო სიმამაცე გამოიჩინა პოლონეთის დედაქალაქის დაცვაში, მაგრამ სამშობლოს ამით არაფერი რგებია, ჩვენი მხედრობის სიმამაცე მხოლოდ მტრის რელაციებმა აღნიშნა.

რევოლუციისა და სამშობლოს სახელით, რაიცა დღეს მთელი ქვეყნისათვის ძვირფასია, ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ რომ ცოცხალად დარჩენილი ქართველი მხედრობა სამშობლოში დაბრუნდეს უახლოესი სახელმწიფო საზღვრების დასაცავად. შემოდგომაზე ამისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები სდგება: ბრძოლის ველზე დროებით სიწყნარე ჩამოვარდება და საარმიო ნაწილების გადაყვან გადმოყვანა აგრე რიგად საძნელო არ იქმნება.

გ. ქ.

# პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირის გამო

როგორ უნდა მოეწყოს რუსეთის რევოლუციური მთავრობა? რა აზრით უნდა იხელმძღვანელოს ახლად დაარსებულ „ხუთთა“ დირექტორიამ, რომ შეადგინოს მთავრობა, რომელიც დააშოშმანებს რუსეთის მღელვარე ზღვასა და უზრუნველად მიიყვანს რევოლუციურ ქვეყანას დამფუძნებელ კრებამდე? ეს საკითხი „არ ახალია, ძველია“: რევოლუციის გამოცხადების დღეს დასმული—იგი ახლაც, გარდაქმნის მეშვიდე თვეზედაც, გადუჭრელია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დღეს უფრო გარკვეულად და მწვავედ არის წამოყენებული და უკიდურესი პარტიებიც მეტ შეურიგებლობას იჩენენ მის გადაწყვეტაში.

რევოლუციის კრიზისი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა; თუმცა კონტრ-რევოლუციის უმთავრესი ბუდე ძლეულია და მისი ხელმძღვანელნი შეპყრობილნი არიან, მიუხედავად ამისა რუსეთი არ დამშვიდებულა: აქა-იქ კიდევ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის განკარგულებებს და ცდილობენ შექმნან პირობები, რომლის შემწეობით ართულებენ სახელმწიფოს ისედაც უნუგეშო მდგომარეობას.

რეაქციის საფრთხეს სრული გაერთიანება უნდა შეექმნა რევოლუციონერთა წრეებში, რომ სახელმწიფოს საქმეებში ყოველ ცოცხალ პროგრესიულ ძალას მიეღო მონაწილეობა და ამგვარად სამზღვარი დაედო სახელმწიფოს დარღვევისათვის.

მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ? კორნილოვის აჯანყების მოსპობის დღესვე გამოირკვა, რომ რევოლუციის მესვეურთა შორის ისევ ძველებური შუღლი და შეურიგებლობა სწარმოებს. ახლად მოვლინებულ ხუთთა დირექტორიამ გამოაცხადა, რომ იგი უპირველეს მიზნად ისახავს რევოლუციურ მთავრობის გამტკიცებას და ჯარისათვის ბრძოლის უნარის მინიჭებას. ამ პლატფორმას თითქოს უნდა თანაგრძნობა გამოეწვია რუსის საზოგადოებაში, რომლის პირდაპირი ინტერესი და ეროვნული თავმოყვარეობა მოითხოვს ორივე წამოყენებულ დებულების შეწყნარებას, მაგრამ დირექტორიის დადგენილების მეორე დღეს შესდგა პეტერბურგის სარევოლუციო საბჭოთა კრება, რომელმაც დიდი უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკების რეზოლიუცია, რომელიც უარს ჰყოფს კოალიციურ მთავრობის შედგენას და მართველობის საკითხის კონკრეტულ გადასაწყვეტად 12 ენკენისთვეს იწვევს სრულიად რუსეთის დემოკრატიის ყრილობას. საეჭვოა, რომ ამ ორივე დადგენილებამ სარგებლობა მოუტანოს გაჭირვებულ რუსეთს: კადეტების და საზოგადოთ ცენზიან ელემენტების ჩამოშორება და მათდამი უნდობლობის გამოცხადება უკმაყოფილოთა წრეებს შემატებს ახალ ძალებს და ეს გარემოება არა გვგონია ხელს უწყობდეს „რევოლიუციის გადარჩენას“. რაც შეეხება დემოკრატიის კრების მოწვევას, ჩვენის აზრით, ეს დადგენილება ბოლშევიკურია თვისი არსებით; იქ ერთხელ კიდევ მოგვასმენენ ფრიად წარმტაც სიტყვებს და თვისი რეზოლიუციით დაგვანახვებენ, რომ უკიდურესი სოციალისტური აზროვნება ამ შ. შ. ს. მომგვრელ ქვესაც ვერ დაპხწევია ცალმხრივ დოქტრინიორობას, რომელსაც არავითარი საფუძველი არ მოეპოვება რეალ ცხოვრებაში და მხოლოდ გაუგებრობასა და უნდობლობას ჰბადებს რევოლიუციურ ძალებში. იმ პარტიას, რომელსაც დაჟინებით მოუთხოვნია დემოკრატიის ყრილობის მოწვევა, უკვე შეუდგენია უებარი რეცეპტი უძლურ რუსეთის განკურნებისა: „Кавказский рабочий“-ს მე-143 ნუმერში მოთავსებულია 7 პუნქტი საერთო სათაურით: რა უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ? მიუდგომელ მეთვალყურისათვის ცხადია, რომ ამ პუნქტების შემადგენელთ სრულიადაც არა ჰქონიათ ახლებულ სახელმწიფოს დაწყნარება! განა შესაძლებელია „Закрыть“—„разогнать“—„арестовать“ — „выслать“-ის მეოხებით შევუდგეთ რუსეთის აღმშენებელ მუშაობას? ეს რეცეპტი ძველია და უნუგეშო თვისი შედეგებით; მას დაუზოგველად უწერდა თვითმპყრობელობა რუსეთის მცხოვრებთ, მაგრამ რუსეთი ვერ განკურნა და თვით კასერი მოიტება...

რ. ინგილო.

# ბრანდესის აზრი რუსეთზე*)

... საზოგადოდ ამბობენ, ვითომც ორგვარი რუსეთი არსებობდეს, რუსეთი ბიუროკრატიული და რუსეთი ხალხოსნური. ხშირად ამ ბიუროკრატიას წამხდარს ეძახიან, დესპოტიურს წოდებას, რომელსაც არ ძალუძს ხალხის საჭიროება გაიგოს. ეს შეხედულობა სწორი არ არის. ბიუროკრატია სრულიადაც არ არის არისტოკრატია, იგი ხშირად მეტად მდაბალი მოდგმიდანაა გამოსული, ვინაიდან რუსეთი საბოლოოდ ხომ მაინც და მაინც დემოკრატიული ქვეყანაა! ამნაირად, არავითარი ზღვარი არ არსებობს ბიუროკრატიასა და ხალხის შუა, თვით ორი წოდება არც-კი არის. იგივე მოდგმა ჰშობს რუსის ლიბერალს, რადიკალს, სოციალისტს, რუსის მართლმადიდებელსაც, ავტოკრატიის ჭეშმარიტს ავტოკრატს. და, რაც უფრო გასაკვირველია, ხშირადა ხდება რომ ის რუსი, რომელიც ოცი წლისა უკიდურესი

*) ამოღებულია კერძო წერილიდან, რომელიც დაბეჭდილი იყო 1905 წელს პეტროგრადის გაზეთ „რუს“-ში.

ლიბერალი იყო, მოითხოვდა დიდ-დიდს რეფორმებს და კოსმოპოლიტად გვეჩვენებოდა ოცდა-ხუთმეტ წლებში გადადგება თუ არა, ხდება რუსულ „კონსერვატიზმის“ ნამდვილი დარაჯი, ღირსი ზიზღისა და შეძულების „მყვირალა ლიბერალების“ თვალში. სხვანაირად რომ ვსთქვათ, თვითონ რუსებივე არიან თავიანთ თავის დესპოტები და, მაშასადამე, უფლება აქვთ მხოლოდ თავიანთ თავზე დაიჩივლონ. მათ არა აქვთ უფლება ბიუროკრატიაზე დაიჩივლონ. ბიუროკრატად არ იბადებიან. მომავალ ბიუროკრატს ამ ქვეყნად იგივე ისტორია აქვს, რაც ბავშვს. ძუძუს აწოვებენ, მოიზრდება გააშვებინებენ სწორედ ისე, როგორც ყველა რუსს. სიყრმეში მას უყვარს კეთილშობილური იდეები. თანდათანობით განვითარებასთან იგი ივიწყებს სიყვარულს პირად თავისუფლებისადმი და სხვის დამოუკიდებლობისადმი პატივისცემას. მე მგონია, ეს არაა მაინცა და მაინც საქებური მხარე რომელიმე ერისათვის.

თუ რომ სხვა სახელმწიფოებში შეუძლებელია ვიპოვოთ ესოდენ თავგანწირული და აღფრთოვანებული ახალგაზდობა, რომელსაც ყოველისფერზე შესწევს სითამამე და გარჯილობა, სამაგიეროდ ვერსად ვერ იპოვით ადამიანს რომელთაც თავიანთ მოწიფულებაში თავის ახალგაზდობა ისე ადვილად დაევიწყებინოთ, როგორც რუსეთში. ბატონისა და ყმის შუა, აწვალებელისა და წამებულის შუა არავითარი განსხვავება არაა. რუსი ინტელიგენტი გეჩვენებათ უწყინარ, მომღიმარ, მეტად გულუბრყვილო და კეთილ ადამიანად. მაშ საიდან ზრდის ამდენს შეუწყნარებელ მდევნელთ პოლონელებისას, ფინლიანდელებისას, ქართველებისას, სომხებისას, ებრაელებისას და მრავალ სხვათა? ჩანს, ძალა უფლების ხელში ჩაგდება ათრობს რუსს, ხოლო ეროვნული გრძნობა უსპობს მას იმ კეთილ მხარეებს, რასაც მათში ვხედავთ ყრმობის დროს.

ვშიშობ, ნამდვილ უფლებრივ რეჟიმის დროს რუსები ვერაფერს სიამეს ნახვენ, როდესაც მოესპობათ სხვათა დევნის უფლება და ოპოზიციაც გამოუჩნდებათ, ვინაიდან დღემდე მათი ცხოვრების კვინტ ესენცია მხოლოდ დევნა და სხვათა წამება იყო.

## ქართული პრესა

**„ერთობა“ და ეროვნული საკითხი**

გაზეთი „ერთობა“ ეხება ფინლიანდიის გარშემო ატეხილ ამბებს და ახალ დაყენებას ეროვნულ საკითხისას. გაზეთი სწერს:

ეროვნული საკითხი საბოლოოდ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასჭრას. ამას მოითხოვს რევოლუციის ინტერესები. მაგრამ ზოგიერთი ერები მეორე გზით მიდიან: მათ აფრთხობს რუსეთში კონტრ-რევოლუციის ამოძრავება და ამიტომ დაუყოვნებლივ ითხოვენ თავისი ბედის გადაჭრას. აქ შეიძლება ორი გზა—დროებით მთავრობას შეუძლია მათი მოთხოვნილებანი უარყოს და დამფუძნებელ კრებაზე მიუთითოს. გამოცდილებით ვიცით, რომ ეს იწვევს ერის დიდი უმრავლესობის აღშფოთებას, ხოლო ეს რევოლუციას ძალას აცლის და მას ასუსტებს. მთავრობას შეუძლია მეორე გზას დაადგეს: დამორჩილებულ ერთან შეთანხმება სცადოს და ამ გზით რევოლუციას ახალი მოკავშირე შესძინოს. უკანასკნელ გზას დაადგა მთავრობა, როცა ის ამხ. ირ. წერეთლის მეოხებით შეუთანხმდა უკრაინის რადას და მას ავტონომია მიანიჭა. მაგრამ ივლისის ამბების შემდეგ მთავრობა თანდათან უფრო და უფრო დაემორჩილა კადეტთა გავლენას და ერთა სამართლიან უფლებებს ზურგს აქცევდა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ფინლიანდიის საკითხში. სეიმის დათხოვნა ამის უტყუარი საბუთია.

გენერალ კორნილოვის გამოსვლამ კონტრ-რევოლუციონური ბანაკი შეარყია და მათი ძალა-გავლენა შეასუსტა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას კადეტთა შესახებ. და აი დროებითი მთავრობა იძულებულია ეროვნულ საკითხში ახალი გზა აირჩიოს. ის ცდილობს შეუთანხმდეს ფინლიანდიის ერს და ამ მიზნით მან სენატის უფლებები გააფართოვა. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, თითქო უკანასკნელი აქტი ფინლიანდიის შესახებ, რომელიც სენატს უფლებას აძლევს საბოლოოდ დააკანონოს სეიმის ზოგიერთი დადგენილება, რომელიც შინაურ საქმეებს ეხება, სავსებით დააკმაყოფილებს ფინლიანდიის ერს. ის სრულ დამოუკიდებლობას ელტვის. მთავრობის უკანასკნელი გამოსვლა საყურადღებოა მეორე მხრივ: ნათლად სჩანს, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა გრძნობს, რომ რევოლუციის გამარჯვება დამორჩილებულ ერებთან შეთანხმებას მოითხოვს. ეს საუკეთესო გზაა კონტრ-რევოლუციის ალაგმვის და რესპუბლიკის განმტკიცებისა.

ეჭვს გარეშეა, ახლო მომავალში კონტრ-რევოლიუციონერთა ახალ გამოსვლას უნდა ველოდეთ. მათი დატუქსვა მთელი რუსეთის დემოკრატიის, მათ შორის დამორჩილებულ ერთა ამოძრავებას მოითხოვს. ამიტომ დადგა დრო, როცა მთავრობა ვალდებულია ეროვნულ საკითხში უფრო გაბედულ პოლიტიკას დაადგეს და ერებთან შეთანხმება თავის მორიგ საქმედ გამოაცხადოს. რესპუბლიკანურ რუსეთში ერთა მონობას ადგილი არ უნდა ქონდეს. რევოლ. დემოკრატია ვალდებულია ფინლიანდიასა და უკრაინას გარდა, საჭიროებისას სხვა ერთა საკითხებიც თავის საქმედ გამოაცხადოს და მათ გადაჭრას შეუდგეს“.

დროა ამ საწყალ „სხვა ერთა“ სახელებიც ვახსენოთ, თორემ ფინლიანდია და უკრაინა კადეტებსაც გაზეპირებული ჰქონდათ.

დროა პოლიტიკური გეოგრაფია ვისწავლოთ და უკრაინიდან ქვეით დავყვეთ!..

## რუსული პრესა

**„რატომ არ გვაძლევს პურს ჩრდილო კავკასია?“**

გაზეთ „პეტროგრადსკაია ვედომოსტში“ დაბეჭდილია ბ-ნ ჩ—ს საგულისხმო წერილი. ავტორი ამბობს:

კავკასიის ჯარს თურმე მარტო ჩრდილო კავკასია ჰკვებავდა. ყოველივე მიწვდა ჯარისათვის მის მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ძველ რეჟიმის დროს თერგის ოლქში მიწათ-მოქმედების სამინისტროსგან დაარსებული სამი ორგანიზაცია მოქმედებდა.

1) ორგანიზაცია „საქონელი—ჯარს“, რომელსაც თავადი კასატკინ-როსტოვსკი თაოსნობდა, ქონების შესაძენად უფრო მოქმედობდა. ყოველდღე სამხედრო გზაზე ოთხას-ოთხასი მსხვილფეხი საქონელი მოუდიოდა. აქვე სახლში ხორცს გამოსაშრობად და აკეთებდა ძეხვებს და ხორცს ამარილებდა. ეხლაც ესევე იქცევა ახლად შედგარი სასურსათო კომიტეტი, რომელიც სრულებით ვერ იცნობს საქმეს და ჯარს უსურსათოთ არჩენს. ამის მიზეზი ბევრია,—მაგრამ მთავარი მიზეზი ეს სრული უპასუხისმგებლობაა.

2) მეორე ორგანიზაციამ „პური—ჯარს“ მიზნად თავის სარგებლობა დაისახა. საქმეში ხომ სრული უცოდინარობა გამოიჩინა, მაგალ. სიმინდზე ფასის დამტკიცების დროს მიიწვია მსხვილი ნარდად მოვაჭრენი და თეთრ სიმინდზე 1 მანეთი დააწესა, წითელზე კი 1 მან. 5 კაპ. ვაჭრებსაც ეს უნდოდათ. მეორე დღესვე დაგზავნეს აგენტები და 1 მან. 20 კაპიკობაზე მილიონ ფუთობით შეიძინეს სიმინდი, რეკვიზიციის დროს 6 აბაზში ნაყიდი სიმინდი რვა აბაზად გაეყიდნათ.

3) მესამე ორგანიზაცია „თივა ჯარს“ მხოლოდ ჯარისათვის თივის მისაწვდელად არსებობდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მის გვერდით მეორე ორგანიზაციაც („საქონელი ჯარს“) მოქმედებდა. ეს უკანასკნელი ორგანიზაცია უმატებდა თივაზე ფასებს და ზემოხსენებულ ორგანიზაციას მეტოქეობას უწევდა. ორგანიზაცია „თივა ჯარს“ დამტკიცებულ ფასებზე იდგა და ამიტომ საკმარ თივას ვერ აგროვებდა.

ეხლა ყველა ამ ორგანიზაციებს სასურსათო კომიტეტი განაგებს. იქნებ ეს კომიტეტი მომავალში მაინც შესძლებდა თავის დანიშნულების ასრულებას, რომ თერგის ოლქში ერთ ბიუროკრატებს არ ჰქონდეს ალაგი.

დროებით მთავრობამ გარდაქმნის პირველ დღეებში თერგის ოლქის კომისრად სახელმწიფო სათათბიროს წევრი მ. ა. ქარაულოვი დანიშნა.

თერგის ოლქში ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიის მთიულები, ბარში მცხოვრებელნი და ყაზახები. ყარაულოვმა იმის მაგივრად, რომ მცხოვრებლები გაეერთიანებინა—მოახერხა თავის ატამანად არჩევა და მხოლოდ ყაზახების საჭიროებას განაგებდა. დანარჩენ მცხოვრებზე იგი სრულებით არა ზრუნავდა. მკათათვის 20-ის მოწოდება ამას ნათლად გვიმტკიცებს. როდესაც შეიტყეს თერგის ოლქის კომისრად ყარაულოვი ინიშნებოდა თვით ზოგიერთა ყაზახაც გაიძახოდა—რამე უბედურება დატრიალდებაო.

თერგის ოლქი უნდა ჩაბარებოდა სამ პირს. ამასთან თავმჯდომარედ არც ყაზახი და არც ადგილობრივი მცხოვრებთაგანი არ უნდა ყოფილიყო. ყაზახი და ადგილობრივ მცხოვრებთაგანი უნდა დროებით მთავრობის საგანგებო კომიტეტში შესულიყვნენ ისევე, როგორც ჩხენკელი, პაპაჯანოვი და ჯაფაროვი შედიან ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტში.

თუ მთავრობა ესე მოიქცა ჯერ ხსნა კიდევ არის.

ვიდრე ოლქს ყარაულოვი განაგებს სიწყნარე არ ჩამოვარდება და ეხლა თუ ადგილობრივ მცხოვრებთა და ყაზახების სისხლი იღვრება, მალე შეიძლება ომიც გაიმართოს. ჩრდილო კავკასიაში კიდევ ამოჩნდება შამილი, რომელიც ათასგვარ უბედურობას დაატრიალებს. მერე რისთვის? ნეტა თვით რუსები ისე ემორჩილებოდნენ დროებით მთავრობას, როგორც მთიულები ემორჩილებიან.

თერგის ოლქი თავის მმართველებს ელის. დროებით მთავრობამ ამიერ-კავკასიას ხუთი კაცი გამოუგზავნა და რატომ ის კი არ იფიქრა, რომ ჩრდილო-კავკასიაში ერთი ეროვნება არ ცხოვრობს და ერთი კაცის გამოგზავნა არ შეიძლებოდა. მერე ისიც ყაზახი დანიშნეს. ადგილობრივ მცხოვრებთ კი მათთან მუდამ მტრული განწყობილება აქვთ.

ეს უსამართლობაა, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჩრდილო-კავკასიის შვილთა „ველური დივიზია“ რუსეთისათვის ღვრის სისხლს. მათ პატივსაცემად მაინც უნდა იქმნას აღდგენილი მყუდროება ჩრდილო-კავკასიაში. ამიტომ კი საჭიროა ეროვნულ შუღლის ჩამომგდებ პირთა მოშორება.

საჭიროა სასურსათო კომიტეტების წესიერ გზაზე დაყენება. მთავარი კონტროლი ორგანიზაციებისა უნდა გადაეცეს სამხედრო სამინისტროს უფლებით აღჭურვილ ფრონტის კომისარი—ვინც თავის თვალით ხედავს ფრონტის საჭიროებას. ყველა უსინდისოდ მოსამსახურე მიეცეს სამხედრო სარევოლიუციო სასამართლოს. მხოლოდ მკაცრი ზომები იხსნიან ჯარს სიმშილისა და სიცივისაგან. დასასრულ ორიოდე სიტყვა კავკასიის ჯარის საჭიროებაზე. შემთხვევა მქონდა ქალ. კავშ. რწმუნებულ ციციანოვის მოხსენებაზე დავსწრებულიყავ. ციციანოვის სიტყვით არის ისეთი კორპუსები—სადაც უჩექმო და უფაფრო ცხენები ჰყავთ. თურმე ცხენებს დაუჭამნიათ ერთი ერთმანეთისთვის. ფურგუნების ხის ნაწილები მთლად დაღრღნილი ყოფილა ცხენებისაგან. მარტო ესეც საკმაოა, რომ კავკასიის ფრონტის მდგომარეობაზე ჩავფიქრდეთ. მაგრამ ფიქრობს ვინმე მასზე?

# რუსეთის რესპუბლიკა

## დეპეშები

### სიკვდილის სასჯელის გამო

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. ქალაქის საბჭოს უმრავლესობამ 16-ის ხმის წინააღმდეგ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სიკვდილით სასჯელის მოსპობის შესახებ.

### ქალაქის თავის ამხანაგები

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. ქალაქის თავის ამხანაგებად აირჩიეს ლუნაჩარსკი, არტემიევი და კრიჟევიჩი.

### მოწოდება მტვირთველებს

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 4. შრომის მინისტრმა სკობელევმა მტვირთველებს ამხანაგური მოწოდებით მიმართა. იგი აღნიშნავს, რომ სამშობლო და რევოლუცია განსაცდელშია და სთხოვს ერთი წუთი არ დაკარგონ პურით, ნახშირით, ლითონით და ჯარისათვის სხვა და სხვა საჭირო საგნების დატვირთვის დროს.

### გაფიცვა ქარხნებში

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 4. შრომის სამინისტროსთან შემდგარმა შემთანხმებელმა კომისიამ შეიმუშავა სატარიფო ხელშეკრულება, რომელიც სახერხავ ქარხნებში შრომის საკითხებს აწესრიგებს. ეს ხელშეკრულება მუშებისა და ქარხნის პატრონების შორის მომხდარ უთანხმოებამ გამოიწვია.

### გემების რეკვიზიცია

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** ენკენისთვის 3. ვოლგის გემების პატრონებმა პროტესტი განაცხადეს რევოლიუციურ ორგანიზაციათა მიერ ცარიცინში გემების რეკვიზიციის შესახებ. გემებს თურმე ნავთი, ნახშირი და სურსათ-სანოვაგე მიჰქონდათ.

### კლასობრივი შერიგებისკენ

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** ენკენისთვის 3. გორბატოვის საზოგადოების კომიტეტმა და ერობის სამმართველომ საზოგადო კრების დროს დაადგინა, დღევანდელი მომენტი მწვავეა და რუსეთში ყოველგვარი კლასიური და პარტიული დაყოფა დამღუპველი იქნება სამშობლო ქვეყნისთვისაო.

### სწავლის შეწყვეტა უნივერსიტეტებში

**პეტროგრადი.** ენკენის. 4. დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ პეტროგრადის და მოსკოვის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლა შობამდის შესწყდეს. სწავლა არ შესწყდება მხოლოდ ტეხნიკურ სასწავლებლებში.

### წითელი გვარდია

**მოსკოვი.** ენკენის. 4. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებულ სხდომამ მოსკოვში წითელ გვარდიის დაარსების შესახებ ითათბირა. მიიღეს კომისიის მიერ შემუშავებული წესდება. გვარდიის შტაბში სოციალისტურ ფრაქციებიდან სამ-სამი კაცი აირჩიეს.

### ინგლისის აზრი რუსეთის რესპუბლიკაზე

**ლონდონი.** ენკენისთ. 5. რუსეთის რესპუბლიკად გამოცხადების გამო „ტაიმს“-ი სწერს: თუმცა ეს ნაბიჯი წინ უსწრებს დამფუძნებელ კრების გარდაწყვეტილებას, მაგრამ მოკავშირენი მაინც სალმით მიეგებებიან, რადგან ამ ნაბიჯმა რუსეთს პოლიტიკური კონსტრუქცია მოუტანა. „მორნინ პოსტ“-ი სწერს: რუსეთის რესპუბლიკად გამოცხადება ეს რუსეთის ძირითად მოთხოვნილებათა განხორციელებაა. „დეილი-ნიუსი“ სწერს: რუსეთის რესპუბლიკად გამოცხადება ჩაახშობს რუსეთში მონარქიის აღდგენის აზრს. რუსეთის მიზანი უნდა იყოს—ეროვნულ პრინციპად აღიარება იმისი—რომ სახალხო მმართველობა ხორციელდება ხალხით და ხალხისთვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაღწევს რუსეთი ღირსეულ მიზანს, როგორც ეროვნება.

## კორნილოვის აჯანყების გამო

### ფინლიანდიის ჯარი და ფლოტი.

**ჰელსინგფორსი.** ენკენისთვის 3. ფლოტი და ჯარი ცხოვრების წესიერ კალაპოტში ჩადგნენ. კორნილოვის აჯანყებით შექმნილი უწესოება მოისპო. დამაშვიდებელი ცნობები მოგვდის აგრეთვე ფინლანდიის სხვა ქალაქებიდან—სადაც რუსი მეციხოვნენი დგანან. მიღებულია დეპეშა უმაღლეს მთავარსარდლისგან. იგი არა სასურველად სცნობს მთავრობის მორჩილებაზე ცალცალკე ხელწერილების ჩამორთმევას ვინაიდან მთავრობა სრულებით ენდობა ბალტიის ფლოტს.

### რევოლუციურ რაზმის დაშლა.

**მინსკი.** ენკენისთვის 3. მოგილევისკენ მიმავალი პოლკოვნიკ კარტკოვის რევოლუციური რაზმი ალექსეევის განკარგულებით დაშალეს.

### ჩხრეკა და დატუსაღება.

**კრემენჩუგი.** ენკენისთვის 3. რევოლუციის დამცველ კომიტეტმა ქალაქში ჩხრეკა მოახდინა და დაატუსაღა პოლკოვნიკი პოგრებნაკი და სტატსკი სოვეტნიკი ზელადინი.

### ბალტიის ფლოტი.

**ჰელსინგფორსი.** ენკენისთვის 3. მიღებულია უმაღლეს მთავარ-სარდალ კერენსკის დეპეშა: მოვითხოვ ყოველივე საზიზღარ ძალადობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. თავიანთ მოვალეობის უცოდინართ მხოლოდ დარღვევა შეაქვთ ფლოტში. კაცის მკვლელებისა და მოძალადეთა კონტრ რევოლუციური მოქმედება წარუხოცელ ჩირქსა სცხებს მთელ ბალტიის ფლოტს. ველი სრულ წესრიგის აღდგენის შესახებ ცნობებს.

### კალედინი გადადგა

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 1. დროებით მთავრობამ გენერალ კალედინისაგან მიიღო ცნობა, რომ ატამანის თანამდებობისგან გადადგაო.

### ოფიცერთა დევნა ფინლიანდიაში

**ჰელსინგფორსი.** ენკენისთვის 3. ვიბორგის გაზეთების ცნობით ხალხს თვით გაუსამართლებია და მოუკლავს 22 ოფიცერი, ხოლო 60 ოფიცერი უკვალოდ დაკარგულა. საქმის გამოსაძიებლად კომისია შესდგა, რომელშიაც მონაწილეობას ღებენ მთელი რუსეთის აღმასრულებელ ცენტრალ კომიტეტის წარმომადგენელნი. ტამერფორსიდან ცნობა მოვიდა, უკვე 25 ოფიცერი დაპატიმრებული იქმნაო.

### მთავარ ბანაკის რეორგანიზაცია

**მინსკი.** ენკენისთვის 4. ცნობა მოვიდა, მთავარ ბანაკის შტაბის სრული რეორგანიზაცია მოხდაო. ყველა გადაყენებულია და მათს ადგილას სულ ახალი ძალები ჩაუყენებიათ.

### შლისელბურგის თოფის წამლის ქარხანა

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 4. ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა მარიამობისთვის 30 დაადგინა, მთელი ასაფეთქებელი მასალები, რაც კი შლისელბურგის თოფის წამლის ქარხანაში ინახება, გადაცემულ იქმნას ცენტრალ და ჯარისკაცთა დეპუტატების კომიტეტთა განკარგულებაში, რათა კორნილოვის მომხრეთ საშუალება არ მიეცეთ ხელში ჩაგდებისა. ხსენებული მასალა განკარგულების თანახმად გარდაცემულ იქმნა. როგორც ცნობა მოვიდა, ეხლა მთელი ეს ასაფეთქებელი მასალა ისევ ქარხანაში დაუბრუნებიათ.

### აჯანყების ამბავი

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 4. ღამით, მარიამობისთვის 28, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან პირველად მოვიდა ამაშფოთებელი ამბავი ცენტრში მომხდარ ამბების შესახებ. როგორც ჩანს, ფრონტის შტაბს ადრევე მიუღია ცნობა და წინასწარი ბრძანება გასცა მოდარაჯე ჯარისკაცების მოხსნისა. მალე შენიშნეს, რომ ყაზახებმა ქალაქის ყველა გასავალი დაიჭირეს, მასთან ხელთ იგდეს ყველა სტამბები. მალე საიდუმლო ამბავი გახმაურდა. ჯარების უმრავლესობამ სურვილი განაცხადეს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ აჯანყების ჩასაქრობად. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ფრონტის საბჭოსთან ერთად სრულის თანხმობით მოქმედებდა. ფრონტის კომიტეტმა მთელი ძალღონე მოიკრიბა და შტაბის მოქმედებას სასტიკი კონტროლი გაუწია. ღამით, 3 საათზე, მარიამობისთვის 28 ს, მთელი სამხრეთ დასავლეთის ფრონტის სარევოლუციო ძალა აღმასრულებელ კომიტეტის ხელში გადავიდა.

### დემონსტრაცია ადესაში.

**ადესა,** ენკენისთვის 3. რევოლუციურ კომიტეტთა შეერთებულ ძალების ხელმძღვანელობით დემონსტრაცია გაიმართა. რამდენიმე საათის განმავლობაში რევოლუციის მოედანზე კომისარ ხარიტონ გენერალ მარქსისა, აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლების [illegible] ყველ რაიონებიდან [illegible] ხალხი დაიძრა. მუშები და ჯარისკაცები დროშებს მოაფრიალებდნენ. დროშებზე ეწერათ: „ნდობა დროებით მთავრობას, საბჭოებს და რევოლუციურს ძალებს“, „მთელი უფლება დემოკრატიას და საბჭოებს“, „ძირს სიკვდილით დასჯა“, „ძირს კორნილოვის მიმდევრები!“ „გაუმარჯოს დემოკრატიულს რესპუბლიკას.“ დემონსტრაციის შემდეგ ხალხი დაიშალა.

## კერენსკის ბრძანება.

### სარევოლუციო კომიტეტების გაუქმება.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 4. ოფიციალი. დროებითი მთავრობისაგან. გენერალ კორნილოვის აჯანყების დროს სოფლად თუ ქალაქად, რკინის გზებზე თუ ჯარებში, თვით მოქალაქეთა სურვილისამებრ სდგებოდნენ რუსეთის დახსნისა და რევოლუციის დაცვის კომიტეტები. ამ კომიტეტებმა შესძლეს დაეცვათ და განემტკიცებინათ რევოლუციის მიერ დაპყრობილი უფლებანი ყოველგვარი ამბოხების ცეცხლიდან, რითაც განუსაზღვრელი სამსახური გაუწიეს მთავრობას, რათა ამბოხება მშვიდობიანად და უსისხლოდ ჩაექროთ. დღეს, როდესაც მეამბოხეებმა ქედი დაიხარეს, უკვე დაპატიმრებულნი არიან და სასამართლოს გადასცეს კიდეც, როდესაც ყოველგან წესიერებაა აღდგენილი და მთავრობის ძალები განმტკიცებულნი გამოვიდნენ კრიზისის ცეცხლში, ამ კომიტეტების მიზანი, რისთვისაც დაარსდენ, თავისთავად მიღწეულია. ვამოწმებთ რა მთელი ერის სახელით ამ კომიტეტების უსაზღვრო ღვაწლს, დროებითი მთავრობა მოუწოდებს ყველა მოქალაქეს ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდეს. იცოდნენ, რომ ამბოხებაში ვინც მონაწილეობა მიიღო, ყველა თანაბრად განისჯება სამართლის მიერ და ასევე ბედი ელისთ ყველას, ვინც შემდეგში გაჰბედავენ თვითნებურს გამოსვლას, აჯანყების ცეცხლის დანთობას. დროებითი მთავრობა ამიერიდან ასეთს მოქმედებას სთვლის რუსეთის რესპუბლიკისათვის მეტად საზიანო საქმედ. მხოლოდ სასტიკი განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა ყველა მთავრობისა და ყოველი მოქალაქისა მიგვიყვანს რესპუბლიკის სრულს მოპოვებამდე და განმტკიცებამდეო.

მინისტრი-თავმჯდომარე, მთავარ-სარდალი ა. კერენსკი. 1917 წ. ენკენისთვის 4.

# ომი და ზავი

## დეპეშები

### რუსეთის ფრონტი

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. ფრიდრიხშტატის ჩრდილო აღმოსავლეთით ბრძოლით დავიჭირეთ ტყე, რომელიც სოფელ ბიდეკის სამხრეთით არის. ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველი. დანარჩენ ფრონტზე მხოლოდ ჩვეულებრივი სროლა და მზვერავთა მოქმედება.

**რუმინეთის ფრონტი.** მდ. სუჩავას ღელეში ენკენისთვის 4-ს საარტილერიო სროლის შემდეგ რუმინელებმა იერიში მიიტანეს და კიდეც აიღეს მტრის პოზიცია ვარნიცას რაიონში. სალომოთი ენკენისთვის 3 ს ძლიერი საარტილერიო სროლისა და ქიმიურ ყუმბარების დაშენის შემდეგ მოწინააღმდეგე შეეცადა რუმინელთა პოზიციის აღებას განციუ მერშეჩის რაიონში, მაგრამ თოფის სროლითა და არტილერიის ცეცხლით ყოველმა მათმა ცდამ ამაოდ ჩაიარა.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი ცვლილება არა მომხდარა რა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენმა მფრინავებმა მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო, რომელიც ზვერვის დროს თავზე დაესხა მას.

### გერმანეთი და ოსმალეთი

**მოძმედი ლაშქარი.** ენკენისთვის 4. კონსტანტინეპოლიდან მიღებულ ცნობებით, ქალაქში მყოფი გერმანელების ჯარი ფრონტზე იგზავნება. მთელი უფლება ტალაატისა, ჯემალის და ენვერის ხელშია. ჯემალის ვენაში წასვლა ჯარის ერთი ერთმანეთში გაცვლის საჭიროებამ გამოიწვია.

### ოსმალთა მუქარა ბაღდადს

**მოძმედი ლაშქარი.** ენკენისთვის 4. ავსტრიელთა ქვეითი ჯარის რაზმი ბაზაში ჩამოვიდა. აქ დემონსტრაციას ელიან. ოსმალთა და გერმანელთა ჯარი ბაღდადზე შეტევისათვის ემზადება.

### შემოდგომის დასაწყისი

**მოძმედი ლაშქარი.** ენკენისთვის 14. დასავლეთ ფრონტზე შემოდგომა დადგა. წვიმებმა გზები გააფუჭეს. სამხედრო მოქმედებები თითქმის მთლად შესწყდა.

### ური ჯარისკაცთა გასამართლება

**ახალთი.** ენკენისთვის 5. №-ს ლაშქრის კორპუსების შეერთებულს სასამართლოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ნაფიცმა ვექილებმაც, №-ს პოლკის 35 ჯარისკაცს დაუმტკიცეს, რომ ბრძანებას არ ასრულებდნენ და მთელს პოლკსაც აქეზებდნენ, ურჩობა გაუწიეთ და იერიშების მიტანაზე უარი სთქვითო. ამ უწესოების გამოისად მთელი პოლკი მოხსნილი იქმნა ბრძოლის დროს. დამნაშავეთ კატორღა მიუსაჯეს 6—10 წლამდე. მეორე პოლკის 75 ჯარისკაცისა და 3 ოფიცერის საქმე, რომ იარაღით წინააღუდგნენ პოლკს ბრძანების ასრულების დასარღვევად, გადადებულ იქმნა, რადგანაც მოწმენი არ გამოცხადებულან.

### ევაკუაცია.

**ჟიტომირი.** ენკენისთვის 2. ნოვოჩერკასკში გადმოყვანილი ლუცკის ყაზახობა ფრონტზე საგრძნობელ სიწყნარის გამო ლუცკში გადაჰყავთ. დაწესებულებები უკვე გადიტანეს ლუცკში.

### ლტოლვილნი.

**ჟიტომირი.** ენკენისთვის 2. ვოლინის საფრონტისპირო მაზრებში სადგომების შენება შეუძლებელი შეიქმნა. დაზარალებულ ხალხისა და ლტოლვილთა მდგომარეობა ზამთრის მოახლოვების გამო შემაძრწუნებელია.

## როგორ იხევს რუსის ჯარი უკან

„რუსკოე სლოვოში“ ასეა აწერილი რიგიდან რუსის ჯარების გასვლის ამბავი: ღამით, მარიამობისთვის 21, როდესაც ცხადი შეიქმნა, რომ რამდენიმე საათს შემდეგ რიგა მტერს

ხე შ[ი] გადაეცემაო, მთელს ქალაქში ეს მინელია ხოცვა-ჟლეტას მიჰყვეს ხელი. ღამის ათი საათიდან მოყოლებული, მარიამობისთვის 20-ს, ქალაქს არბევდნენ დეზერტირები და ყაჩაღ-მძარცველები. ღამის 2 საათზე, როდესაც რუსის მხედრობის უკანასკნელი ჯარები გადიოდნენ რიგიდან, ვიღამაც დაიძახა, ზოგიერთ ქუჩიდან გერმანელები უკან დახვდნენ რუსის ჯარებს თოფებსა და ყუმბარებს ესვრიანო. ეს იყო და ეს, ნახევარ საათის უკან გერმანელთა უბნებში ასტყდა საშინელი ღრიანცელი, ყვირილ-ყიჟინი, სარკმელების მტვრევა, კარებებისა და დარაბების ლეწვა, არა ადამიანური ღრიალი, გმინვა, წყევლა და კრულვა, თოფების ერთბაში თუ ცალ-ცალკე სროლა. მალე დარბევა საზოგადო ხოცვა-ჟლეტაზე გადავიდა. ხოცავდნენ პირდაპირ ეროვნულს ნიადაგზე, მეტწილად დარბეულს გერმანელებს, ჰხოცონენ განურჩევლად, დიდსა და პატარას, ქალსა და ბავშვს. შეგინებამ, სიბილწემ და უზომო სისხლის ღვრამ 21 მარიამობისთვის შუადღემდე გასტანა და თითქმის გასწყვიტეს გერმანულ მოდგმის გასაგისი.

ამ საზოგადო უბედურების დროს ქალაქი ჯოჯოხეთურს მდგომარეობაში ავდებდა გერმანელთა ზარბაზნებისა და ყუმბარის წვიმა. მოზიდულ ბოლის ტალღები მთელს ქალაქს ეფინებოდა და აშთობდა როგორც დაურბეველთ ისე დარბეულთ. დღისით, მარიამობისთვის 21, რიგა სამ საათის განმავლობაში ზარბაზნის ცეცხლში იყო გახვეული. ქალაქს ესროდნენ ზღვის ნაპირებიდანაც და სამხრეთ-აღმოსავლეთიდანაც, როგორც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. ეს საზარელი გრგვინვა ზარბაზნებისა უკანასკნელი აკორდი იყო სისხლით შეღებილ და მის ვაკხანალიისა.

## საფრანგეთის ფრონტი

**პარიზი.** ენკენისთვის 4. რუდმონის რაიონში, კრაონის დასავლეთით, მასიეის უბანში, წუხელ დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო. ამპემონის ტყეში გერმანელებმა ყუმბარების სროლა აუტეხეს ჩვენ სანგრებს და შემდეგ იერიში მოიტანეს. მტერი მოწინავე სანგრებში ჩამოგვეფარდა, მაგრამ მალე მოვიგერიეთ. მოვიგერიეთ აგრეთვე მტრის მოულოდნელი თავდასხმა ვოგეზში.

**ლონდონი.** ენკენისთვის 5. ლომბარდიუზეს მახლობლად მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. ჩვენმა მფრინავებმა 143 ყუმბარა ჩააგდეს გერმანელთა ჰაეროდრომებში და ლიშკარში. გერმანელთა რაზმი, რომელიც ორიათას ჯარისკაცამდე შესდგებოდა, გაფანტულ იქმნა. ჩვენ ჩამოვაგდეთ გერმანელთა 6 ჰაეროპლანი, თვითონ ჩვენ დაგვაკლდა 8. გერმანელთა 4 ჰაეროპლანი საგრძნობლად დაზიანდა.

## ზღვაზე

### გემის დაღუპვა

**პარიზი.** ენკენისთვის 3. მზვერავი გემი „კალენდარი" მარიამობისთვის 24-ს სავაჭრო გემს დაეჯახა და ჩაიძირა. დაიღუპნენ უფროსი და მეზღვაური.

## რუსის ქვეშევრდომები ინგლისში

**ლონდონი.** ენკენისთვის 5. ინგლისში მყოფ რუსის ქვეშევრდომებმა, რომელნიც ჯარში გაიწვიეს, 10,000 საჩივარი შეიტანეს, ჯარში რად გვიწვევთო.

## ინგლისის მუშები და ზავი ხელფასის შესახებ

**ლონდონი.** ენკენისთვის 5. სატრანსპორტო მუშათა ფედერაცია წინასწარის სახალხო კომპანიის ეწვია, რომ ომის შემდეგ სამუშაო ხელფასი შერჩენილ იქმნეს.

## სტოკჰოლმის კონფერენცია

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 4 პასპორტების საკითხის გადაწყვეტამდე სამებრ სტოკჰოლმის კონფერენციის მოიწვევენ. სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა მანიფესტით მიმართა საფრანგეთის, იტალიის, [illegible] და შეერთებულ შტატების მუშებს. მოუწოდებს ხელი შეუწყონ კონფერენციის დროს მოწვევას. მანიფესტი სთხოვს რუს ამხანაგებს, მუშებსა და გლეხებს შეერთებისკენ. მანიფესტი [illegible] გამოსთქვამს, რომ ავსტრიის და გერმანიის სოციალისტები პარტიულ მოვალეობას ასრულებენ. დასასრულ ნათქვამია, რომ კონფერენციით იმპერიალიზმთან ბრძოლის ახალი თარიღი დაიწყება. მშრომელთა კლასს ჰგონია, რომ მოისპოს ყოველ ვე მიზეზი ახალ განხეთქილებისა და [illegible] ომისა. მას ჰსურს [illegible] და დემოკრატიულ ევროპას შექმნა. ორგანიზაციულ [illegible] საერთო ლოზუნგად ეძლვა სტოკჰოლმში [illegible].

## ჩინელები და ომი

**ტოკიო.** ენკენისთვის 3. გაზეთებში ალფრთოვანებით ეგებებიან ჩინელთა გადაწყვეტილებას, რომ ევროპაში ჯარებს გასაგზავნად ამზადებენ.

## ქალალდის მეძარხნეთა განცხადება

**პარიზი.** ენკენისთვისთვის 4. ქალალდის მექარხნეები ნორვეგიიდან გვატყობინებენ, რომ წყალქვეშათა თარეშის გამო სწყვეტენ რედაქციებთან ხელშეკრულებას.

## პურის ფასი ინგლისში

**ლონდონი.** ენკენისთვის 5. პურის ფასმა დაიწია. 4 გირვანქა ღირს 9 პენსი. შარშან კი 1 შილინგი და 2 პენსი ღირდა.

### გემების დაჯახება

**პარიზი.** ენკენისთვის 4. მარიამობისთვის 31. ხმელთაშუაზღვაზე სამგზავრო გემი „ორენოკ"-ი დაეჯახა „ზუეც"-ს. უკანასკნელზე ცეცხლი გაჩნდა. გემი ჩაიძირა. ზედმყოფნი გადარჩნენ. პირველმა გემმა ალჟირის ნაპირას მოაღწია.

## უკანასკნელი დეპეშები

მთავრობა საბოლოოდ არ შემდგარა. ხწარმოებს მოლაპარაკება კერენსკისა და დემოკრატიის ორგანოთა შორის. უკანასკნელნი მოითხოვენ, რომ მთავრობა შესდგეს კოალიციისაგან, რომელშიაც შევლენ უკლებლად დემოკრატიული ელემენტები— და მეორე მხრივ კერენსკი და ცენზიან ელემენტების წარმომადგენლები.

—

„ბირჟ. ვედ."-ს ცნობით მარიამობისთვის 30-ს შლისელბურგის წამლის ქარხნებში მომუშავეთ ხმლების ინსტიტუტში დეპუტატთა საბჭოსთვის 40 ფუთი ფოქოერიხი ახაფეთქებელი მასალა მიუტანიათ და სადღაც გადაუმალიათ. უმაღლეს მთავარ-სარდალმა ბრძანა ზომები მიიღონ მის აღმოს ჩენად.

—

გარეშე საქმეთა მინისტრმა უარჰყო ხმები შვეციასა და რუსეთს შორის ომის მოლოდინის შესახებ. ესეთი ხმები უცილოს გაუგებრად მიაჩნია.

—

სახელმწიფო სათათბიროს წევრი პურიშკევიჩი განთავისუფლეს.

—

ბოლშევიკი ტროცკი თავდებით გაუნთავისუფლებიათ.

—

ყაზახთა წრეში დროებით მთავრობასადმი უკმაყოფილო ოპოზიციური განწყობილება იჩენს თავს.

—

თუ გამოირკვა, რომ უკანასკნელ ამბებში კადეტები არ მონაწილეობდნენ მაშინ ისინი დროებით მთავრობაში შევლენ.

—

სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის საკითხი მოიხსნა.

## ქრონიკა

### თბილისი

**ამიერ-კავკასიის ეგდებთა საბჭომ** პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე დასასწრებლად, რომელიც პეტროგრადში მოხდება ენკენისთვის 12-ს, თავის დელეგატებად აირჩია: ნ. რამიშვილი, ა. ერზინკიანი და დ. გაჯიენკო; მათ კანდიდატებად ს. ჯიბლაძე და გ. კარაჯაევი. დღიურ ხარჯად დაუნიშნა თითოს 20 მან. და სამგზავრო ფული. ცენტრმა მიანდო დელეგატებს წინადადება მისცენ დემოკრატიულ თათბირს: გამოცხადებულ იქმნას სახელმწიფოს საკუთრებად დიდი მამულები დიდი მთავრებისა, მემამულეთა, მონასტრებისა და საუდელწილო უწყებისა. ამ მამულების დამუშავება სახელმწიფომ თითონ უნდა იკისროს. გარდა ამისა დელეგატებს დავალებული აქვსთ ცენტრისაგან წინადადება მისცენ დროებით მთავრობას გაყვანა იქონიონ მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატიაზე, რომ შეკრულ იქმნას ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ და ყველა ერს მიეცეს უფლება თვითგამორკვევისა.

**საეპარქიო სასწავლებლის გაქართულება.** თანახმად მკათათვის 25 დადგენილებისა საქართველოს ეკლესიის შესახებ და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის საგანგებო კრების დადგენილებისა თბილისის ეპარქიულ სასწავლებლის ყველა კლასებში ამ სამოსწავლო წლიდან სწავლა ქართულ ენაზე იქნება.

**უპურობა ბაქოში.** სადგურ ბაქოს უფროსისაგან თბილისში ენკენისთვის 3-ს 9 საათზე დეპეშა მოვიდა. იტყობინებიან უპურობას და ეფრთხილებიან მგზავრებს და მოსამსახურეებს თან პური იქონიონ.

**პურის ბარათები თბილისში.** ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ სხვა და სხვა სადგურებზე გასაგზავნად პლაკატები დაამზადა წარწერით: ქალაქში პური მხოლოდ ბარათებით იყიდება. თბილისში ახლად ჩამოსულებს შეუძლიანთ პურის დროული ბარათების მიღება უზუნიანის საკანცელარიოში. (ვაგზლისა და მადაკინის ქუჩის კუთხეში).

**ქალაქის სარაიონო საბჭონი.** ქალაქის გამგეობა იმ აზრს დაადგა, რომ სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად საჭიროა მოეწყოს თბილისში სარაიონო საბჭოები. ეს აზრი თუ განხორციელდა, ქალაქის სარაიონო სასურსათო კომიტეტები გაუქმდება. საბჭოების მოწყობა არ დაგვიანდება, თუ ხელი არ შეუშალა მას დამფუძნებელ კრების არჩევნებმა, ე. ი. ორივე არჩევნები თუ ერთსა და იმავე დროს მოხდა, იმ შემთხვევაში სარაიონო საბჭოების არჩევნები გადიდება.

**თბილისის პოლიტეხნიკუმში** მიღებული არიან 212 ვაჟი და 58 ქალი. მიღებულმა მოსწავლემ ენკენისთვის 15-მდე უნდა წარადგინოს ნახევარი წლის სწავლის ფასი 75 მან.

**უნივერსიტეტი თბილისში.** ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ევ. გეგეჭკორმა, თანახმად საბჭოს დადგენილებისა, დეპეშით სთხოვა მინისტრ-პრეზიდენტს კერენსკის და სახალხო განათლების მინისტრს, რომ თბილისში გადმოტანილ იქმნას იურიევის (დორპატის) უნივერსიტეტი. შაბათს, ენკენისთვის 9-ს, აღნიშნულ საგნის შესახებ თათბირი ექნება ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას და მოხსენებას შეიმუშავებს საბჭოსათვის წარსადგენად ენკენისთვის 11-ს.

**წიგნაკებით პურის გაყიდვა.** გუშინდლიდან (ენკენისთვის 6) თბილისში გამომცხვარი პურის ყიდვა შეიძლება მხოლოდ წიგნაკებით, რომელნიც დარიგებულია ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ. თითო სულზე აძლევენ 1 გირ. პურს. ის პირნი, რომელნიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, მიიღებენ ორ-ორ გირვანქას, მაგრამ ამისათვის დამატებითი წიგნაკი უნდა მიიღონ სასურსათო კომიტეტის საპურო ბიუროში.

**ებრაელთა ახალი წელი.** ენკენისთვის 4-ს ებრაელთა ახალ წლის „როშ-გაშონა"-ს გამო ყველა თორებში სადღესასწაულო პანაშვიდები გადიხადეს და ახალ მთავრობას დღეგრძელობა უსურვეს.

**გუბერნიების კომისართა თათბირზე** ენკენისთვის 5-ს სურვილი გამოითქვა: 1) გაუქმდეს კოლეგიალური საკომისაროები და საქმეს განაგებდეს 1 კომისარი; 2) გუბერნიის კომისარი უნდა ინიშნებოდეს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ; 3) მაზრის კომისარიც იმავე კომიტეტის მიერ ინიშნება, მაგრამ კანდიდატი უნდა წარმოადგინოს გუბერნიის კომისარმა; 4) სარაიონო კომისარს ნიშნავს გუბერნიის კომისარი, მაგრამ კანდიდატი უნდა წარმოადგინოს მაზრის კომისარმა; 5) სოფლის კომისარს ირჩევს სასოფლო ყრილობა და ამტკიცებს მაზრის კომისარი.

**ქალაქთა რწმუნებულების ყრილობა.** ენკენისთვის 20-ს თბილისში მოხდება კავკასიის ქალაქთა რწმუნებულების ყრილობა, რომელსაც დაესწრებიან წარმომადგენელნი იმ ქალაქებისა, სადაც საქალაქო არჩევნები უკვე მოხდა ახალი საქალაქო დებულების მიხედვით. ყრილობაზე სამაზრო ქალაქები გამოგზავნიან თითო რწმუნებულს, საგუბერნიო ქალაქები ორ-ორს და თბილისი და ბაქო სამ-სამს.

**პურის ახალი ნიხრი.** ხვალიდან (ენკენისთვის 8) თბილისში გამომცხვარი პური გაიყიდება ახალი ნიხრით, ე. ი. გირვანქა ფუნთისა 23 კაპ. და თორნისა 24 კაპ.

**ზარალი პურის ნიხრის გამო.** როგორც ვიცით, წარსულ ორშაბათს (ენკენისთვის 4-ს) ქალაქის საბჭოში, საგანგებო თათბირი მოხდა პურის ნიხრის შესახებ. თათბირმა რამდენიმე დღით გამომცხვარ პურზე ძველი ფასები დასტოვა (13—14 კაპ.) ამ განკარგულების გამო ქალაქს ყოველ დღე ზარალი მოსდის 30 ათასი მანეთი, რომელსაც კისრულობენ სასურსათო კომიტეტები და ქალაქის თვითმართველობა. ზარალი იმან გამოიწვია, რომ ფქვილის ფასი დროებითი მთავრობის დეკრეტით ერთი-ორად გაძვირებულია პირველ ენკენისთვიდან.

### ქუთაისი

**შალვა დადიანი** წარმოდგენას გამართავს ქუთაისის თეატრში 7 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება ცენზურისაგან აკრძალული პიესა „ომი" არციბაშევისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ცაცა ამირეჯიბი, ელო ანდრონიკაშვილი, ს. ეპიტაშვილი, ბ-ნნი ყაღიბეგიშვილი, ჩუბუსიძე, დადიანი, მგალობლიშვილი, სარელი, გომელაური.

## პურის ახალი ნიხრი

**მოქალაქენო!** ენკენისთვის 8-დან სასურსათო კომიტეტი ახალ ნიხრს აწესებს: გირვანქა პური 23 კაპ. თორნისა—24 კ. ეს ფასის აწევა სრულიად შეეფერება ხორბალზე ფასების ერთი-ორად აწევას. მასზე ნაკლებად ეხლა პურის გაყიდვა შეუძლებელია.

ბევრი არ იცნობს ეკონომიურ მდგომარეობას და ასეთი ნახტომი პურის ფასების აწევაში მეტად დიდად ეჩვენება. ქალაქის გამგეობა საჭიროდ სთვლის, რომ ქალაქის მოწინავე ინტელიგენციამ აუხსნას მცხოვრებთ არსებული სასურსათო კრიზისი და ხსენებულ ნიხრის მიღების საჭიროება უგანგაშოთ. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი და იმდენად მჭიდროდაა გადაწნული რევოლუციის ბედზე, რომ ამ დარგში ჩარევა აუცილებლად საჭიროა. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს, რომ თქვენ განუმარტავთ ყველას და ჩააგონებთ, რომ პურის ფასების აწევა თუმცა სამწუხაროა, მაგრამ აუცილებელი.

თბილისის ქალაქის თავი
ნ. ელიავა.

## რეორგანიზაცია ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტისა

კავკასიის დროებითმა სარევოლუციო კომიტეტმა შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: 1) ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში წევრებად შედიან სოციალისტური და დემოკრატიული ელემენტები; 2) კომიტეტის შემადგენლობას დროებითი მთავრობა ამტკიცებს; 3) კომიტეტი 7 წევრისაგან შესდგება; 4) წევრებს ჰყავთ სრულუფლებიანი თანაშემწენი; 5) კომიტეტის წევრებს ჯამაგირი ეძლევათ სახელმწიფო ხაზინიდან. სარევოლუციო კომიტეტმა აგრეთვე გამოარკვია: რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს საოლქო ცენტრსა და ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს შორის.

## რუსული ჭორები ქართულ ეკლესიაზე

„პეტროგ. გაზეთას" საკვირაო ნომერში დაბეჭდილია:

როგორც სჩანს ქართველების რუსეთის ეკლესიიდან გამოყოფას თვით ქართველი ერი კი არ მოითხოვდა არამედ ეპისკოპოსი ლეონიდე, რომელმაც ლიუტერანობას თავი დაანება და მართლმორწმუნე გახდა.

ეპისკოპოსი ლეონიდე, ერისკაცობაში შვარცვალდი—დოკუმენტებში გერმანელების ქვეშევრდომად არის აღნიშნული, მაგრამ იმავ დოკუმენტებში ბერობაში შედგომის შემდეგ რუსეთის მოქალაქეთ ითვლება. ქართულ ეკლესიის გამოყოფის შესახებ კი რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც შეეხება ეპ. ლეონიდეს შესახებ ცნობებს „პეტრ. გაზ." მთლად აურევნია ეპ. ლეონიდე (ოქროპირიძე) ყოველთვის იყო და ეხლაც მართლმორწმუნეა. იგი მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომად ითვლება. მართალია კავკასიაში ეგზარხის პლატონის დროს იყო ლუტერანი ბ მართლაც ორ ქვეყნის ქვეშევრდომი ლეონტი, რომელიც რევოლუციის წინ კუსტანაისის ეპისკოპოსად გაამწესეს ორენბურგის ეპარქიაში. იქიდან სარატოვის ეპარქიაში გადმოიყვანეს და ყოვლად უსამღვდელოეს პალადისთან უთანხმოების გამო დაითხოვეს. ლეონტის გვარი შვარცვალდი კი არაა არამედ ვიმპფენი.

## საეკლესიო კრების წესრიგი

თბილელ მიტროპოლიტმა, კათოლიკოზის მოსაყდრემ, ლეონიდემ დაამტკიცა წესრიგი საეკლესიო მღვდელთ მოსაყდრეებისა 8 ენკენისთვისათვის.

ენკენისთვის 7-ს დაისი შესრულდება სიონის ტაძარში დაუჯდომელით. ლიტანიაზე შეიმოსება ერთ-ერთი ქორეპისკოპოზი, ხოლო აქებდ ზეყველა მღვდელთმთავარნი მიტროპოლიტის ზედამდგომელობით. ენკენისთვის 8-ს ეპისკოპოზნი შეასრულებენ ლიტურგიას სიონის ტაძარში და დიდუბის ეკლესიაში. სიონში მწირველი იქნება მიტროპოლიტი ლეონიდე ეპისკოპოსთა თანამწირველობით. წირვის შემდეგ ქალაქის სამღვდელოება შეიკრიბება სიონში. მაღალყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდე გამობრძანდება საკურთხევლიდან ამბიონზე და წაიკითხავს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის განჩინებას საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ. შემდეგ გადახდილ იქნება სამადლობელი პარაკლისი, ხოლო შემდეგ შესრულდება ძეგლის წესი.

## საქართველოს საეკლესიო კრება

როგორც ვიცით, ქართული საეკლესიო კრება მოხდება ენკენისთვის 8-ს. დელეგატთა არჩევნები უკვე მარიამობისთვის 27-ს დასრულდა ყველგან. არჩევნები ხდებოდა ოთხწევრიანი ფორმულის თანახმად, ამასთანავე სამრევლონი ირჩევდნენ წარმომადგენლებს, რომელნიც თავის მხრით ცალკე დეპუტატს ირჩევდნენ განზრახულ კრებაზე დასასწრებლად. კრების აუცილებელ წევრებად ითვლებიან ყველა ქართველი ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი და დროებითი ქართული საეკლესიო მთავრობისა და მის განყოფილებათა წევრნი. სულ მოელიან 550 დელეგატს, აქედან დაახლოვებით ნახევარი მაინც სასულიერო წარმომადგენელნი იქნებიან (აქ შევლენ მთავრებიც და მედავითნენიც), და ნახევარი ერისკაცთა წარმომადგენელნი.

ენკენისთვის 8-ს, სიონში ჩრწყინვალე მღვდელ-მსახურება იქმნება გარდახდილი. წირვის შემდეგ სასულიერო ცერემონიით კრება გაიხსნება. საღამოთი, ენკენისთვის 8 ს, საეპარქიო სასწავლებელში (ანდრეევის ქუჩა, 62) მოხდება კერძო თათბირი პრეზიდიუმის წევრთა და სამანდატო კომისიის წინასწარ ასარჩევად, ამავე დღეს საბოლოოდ დამტკიცებულ იქმნება ნაკაზი და განსახილველი საკითხები.

ენკენისთვის 9-ს სიონის ტაძარში მოხდება პრეზიდიუმის დამტკიცება, ხოლო შემდეგ წაკითხულ იქმნება საეკლესიო და საზოგადოებათა ორგანიზაციებიდან გამოგზავნილი მილოცვები. საღამოთი მეორე თათბირი მოხდება და ათ ენკენისთვეს უკვე შეუდგებიან საკითხების განხილვას.

ყველა მოხსენებათა წაკითხვისა და განხილვის შემდეგ, რასაც, უეჭველია, ერთი კვირა მაინც მოუნდება, საბჭოს წევრთა არჩევის შემდეგ, ჯერ კერძო თათბირზე დაასახელებენ კათალიკოზს, ხოლო შემდეგ კრება აირჩევს მთელს საქართველოს კათალიკოზს.

სხდომების გასამართავად სიონის ტაძარი უკვე დამზადებულია, ხოლო დელეგატებიდან ვისაც პური ბინა და საჭმელ სასმელი მიეცემათ საეპარქიო სასწავლებელში.

სხდომებზე შესვლა, როგორც კერძო თათბირზე, უსათუოდ აკრძალულია მათთვის, ვისაც ბილეთი არ ექნება.

საკათალიკოსო კანდიდატად ასახელებენ ფრიად დამსახურებულს მწყემსმთავარს—მიტროპოლიტს ლეონიდეს.

## პატარა ფელეტონი

### კაცს რაც შუბლზე აწერია ის თავის დღეში არ ასცილდებაო.

I

დერეფნის წინ ჩაცუცქუმულიყო და საჩარდახე წნელებსა სხვეპდა. სახლის კარი გაიღო და გარეთ პირხმელმა მანდილოსანმა გამოიხედა.

— ბასო!—დაიძახა ნაღვლიანის კილოთი,—მალე იქნება?.. ჩქარა, თუ ღმერთი გწამს, ჩქარა!

— ეს საათში!—უპასუხა წნელების მახვეპავმა ყრუდ, თავაუღებლივ.—აი ვათავებ!

პატარა ხანს უკან ზეზე წამოდგა, წელში გასწორდა და კარის მოხაზულობა სულ მთლად დაფარა. სრული ორმოცდა ათი წლისა იყო, მაგრამ ადამიანს რომ თვალი დაეკრა, იტყოდა ორმოცი წლისა არისო. დროთა ბრუნვას ბასოსთვის სახე მხოლოდ ოდნავად დაეჭერნა. თმაში ხომ თეთრი სრულებით არ ერია.

— რა არის დედაკაცო?!—დაუძახა ბასომ კარებში მდგომსა.—რატომ მაგრე გული გაგტეხია? ღმერთია მოწყალე, მორჩება.

— ეჰ! როდის გადმოუხედნია ზეცას ჩვენთვის მოწყალის თვალით?!.—წამოიძახა მანდილოსანმა.—ეგ ერთი ლა შეგვრჩენია და ეგეც ღამის ხელიდან გამოგვეცალის!.. არა, ღმერთი ჩვენთვის არ არის! სოფელ ნაბოლარში ჩვენისთანა უიღბლო ოჯახს კაცი ვერ ნახავს!

— კარგი, სალომე, კარგი!.. იკმარე... ემანდ არ გაირისხო. სალოცავად მივდივართ; იქნება წმინდა გიორგის მადლმა ულხინოს ჩვენს ბალიას!

სალომემ წმინდა-გიორგის გახსენებაზე სასოებით სამჯერ პირჯვარი გადიწერა,—ღმერთო, წმინდა გიორგი, შენ წამოაყენე ფეხზე ჩემი ბალიაო—სთქვა გულმხურვალეთ და შინ შებრუნდა.

ბასო და სალომე კარგა ხნის ჯვარდაწერილი მეუღლენი იყვნენ. როდესაც ოცდაორის წლის ახალგაზრდამ თხუთმეტი წლის გოგონას თვალი მოჰკრა, შეუყვარდა და ცოლად მოიყვანა. და წყნარ ერთად ცხოვრების ჰპატონის წევი. მალე ქალმა ჰკონია იწყო: მიეცემოდა! [illegible] სამი [illegible] რაღაც გამოუტყვრებოდა და უკვდებოდა, სალომეს უბედურობისაგან გული უკურნებელ წყლულით ესერებოდა და სახე დარებით ეხაზებოდა, ბასო კი ადვილად იტანდა: ღმერთმა მომცა და ღმერთმა წამართვა და კიდევაც მომცემსო,—იტყოდა ხოლმე ფილოსოფიურად,—ხეს არა მოუვიდეს რა, და ხილი კიდევ მოვაო.

რვა შვილში დედ-მამას ერთი-და შერჩათ და რაკი ღმერთი ბლარაფერს აძლევდათ დიდათ უფრთხილდებოდნენ. მაგრამ დახეთ უბედურობას, შეუსრულდათ შვიდი წლისა და ისიც ავად გაუხდათ. ბალია ლოგინად ჩავარდა. სალომე დაფაცურდა. ვინ იცის, ვის არ აჩვენა თავისი ბიჭიკო! რა წამალი არ დაალევინა!.. გაიგონებდა თუ არა, ამა და ამ ადგილას უებარი წამალი იციანო, მაშინვე ბასიკოს თავს იქითკენ უკრავდა ხოლმე—აბა, ჩქარა წადი, მოიტანეო. მიმართეს ქალაქს ექიმებსაც და ვერც იმათ უშველეს რა. ბოლოს ბავშვს მიზეზი აღმოაჩინდა. მკითხავმა უთხრა თურმე მშობლებს: რას დაწრიწინებთ, რომ დაწრიწინებთ? რით ვერ გაიგეთ რომ თქვენი შვილი ღვთისაგან არის ავადა. სერის წმიდა გიორგი ალოცეთ, ღამე უთიეთ და საღ-სალამათი ფეხზე წამოდგებაო. სალომემ არ დააყოვნა და ხატში წასასვლელად მოემზადა. სანამ ქმარი ურემს ჩარდახს წამოადგამდა და შეაბამდა, ერთი თხუთმეტჯერ მაინც გამოიხედა გარეთ.

გაზაფხული იყო და დარი ცვალებადობდა. ბუნებას ტანში ხან სიცივე დაუვლიდა ხოლმე, ხან სითბო.

— ეჰ! ეს ოხერი რა ნაირი მოღრუბლა!—წამოიძახა ბასომ,—დილას ცა ლურჯად კამკამებდა, არაფერი ემჩნეოდა რა!.. რა იქნებოდა შე დალოცვილო რომ დაგეცალია?!

— ბასიკო, აბა, გადააფარე!—დაუძახა ცოლმა და დერეფანში ფარდაგი გამოიტანა.

— ჰა, ადამიანო, რას იტყვი?! კარგი არ იქნებოდა რომ გადაგვედო?—უთხრა ყოყმანით ბასომ ცოლსა.

ცამ როგორც ცუდათ დაიწყო ცქერა.

— რას ამბობ, რასა? განა მლოცავი ავდარმა უნდა შეაშინოს?.. თუ ღმერთს უნდა, არ გაგვწირავს. შენ მაგ დაიცა, დაიცას ძახილით ბავრაჯალ გაგიფუჭდება საქმე!

— მე მითქვამს და შენ იცი... მერე სანანურად არ გაგვიხდეს!—უთხრა ბასომ ცოლსა და ურემს ფარდაგი გადააფარა.

სალომემ მოუთმენლად ჩაიქნია ხელი და შინ შებრუნდა. პატარა ხნის უკან საბანში თბილად გახვეული ბალია გამოიყვანა და ურემში ჩააწვინეს. ბასო დაეცქერდა ავადმყოფს და სახე დაეღვრიმა.

— აბა, რაღას გაშტერდი?!—შეჰკრა ხელი ცოლმა,—გაუჯავრდი ხარებს!

ურემი დაიძრა. სოფელი წყნარად გაიარეს. სოფლის გარეთ ავადმყოფმა ხმა ამოიღო.

— რა გინდა შვილო?—შეეკითხა დედა.

— მინდორი დამანახვე..

სალომემ ჩარდახის კალთა აწია და შვილი გაახედა. მინდორი მწვანით მოფენილიყო. შიგა და შიგ ყვაილები ერია. აქა-იქ გაბნეულ ბუჩქების ძირას იაც მოჩანდა.

— იები, დედი, იები!—წამოიყვირა გახარებულმა ბალღმა.

— ჩამო, კაცო, ერთი იები დაუკრიფე! ჩამო!—ესძახა სალომემ ქმარსა, რომელსაც ურმის თავზე მოეკალათნა და ფიქრს მისცემოდა.

ბასო გამოირკვა.

— რაო?—შეეკითხა ცოლსა.

— იები დაუკრიფე, იები!

ბასო ჩამოხტა ურმიდან და ბუჩქებს ეცა. ქარმა შემოუბერა და ქუდი მოჰგლიჯა.

— ეეჰ! რა სიკვდე მოაქვს! ემანდ სიტყვა კი არ მივიდეს და!—წამოიძახა ბასომ და ქუდს ხელი დასტაცა.

ქარი ურემსაც მოუვარდა და ჩარდახის კალთები ააშრიალა.

— ვერ მოგართვეს! მაგრაა დაბმული!—გაიხმაურა ბასო ქარსა და იებს დაუწყო კრეფა.

— ჩქარა! რა დაგემართაო?—მოისმა მოუთმენარის ხმა ურმიდან იების მკრეფავს.—ლამის ფარდაგი მოგვგლიჯოს თავიდან!

ბასომ დიბლუჯა იები და ურემთან მიირბინა.

— ჰა, დაიჭი!—შესძახა ცოლსა.—რისა გეშინიან? მაგრაა დაბმული.

ბასო ურმის თავს მოახტა და კამეჩებს ხელი გადაუსვა.

— აბა, ჩემო ყოჩინებო! აბა ჰა! აგრეთვე თქვენ მადლიან ქედს ვენაცვალები! მალე მიგვიყვანეთ. გუშინით თქვენებურათ! — უთხრა ალერსით კამეჩებს ბასომ და სახრე ოდნავად გადაჰკრა.

— დედი, საბანი მომაცალე!—დაიძახა სიცხისაგან შეხურებულმა ბავშვმა.

— არა შვილო, არა! აბა რას ამბობ? უბერამს!

— მაშ იები მომეცი!

— ეი, შვილო, საბანზე არ გიწყვია?!

— ხელში მინდა დავიჭირო, ხელში!—სთქვა დაჟინებით ავადმყოფმა.

— დაიცა! დაიცა, გენაცვალე, დაიცა!—შეეხვეწა სალომე შვილსა.—სულ ნუ ამოჰყობ!

მაგრამ ბავშვმა დედის ლაპარაკს ყური არ ათხოვა და საბნიდან ხელები ამოიღო, დაბღუჯა ყვავილები და გულზე მიიკრა. ყვავილების სიგრილე იამა და დამშვიდდა.

— აბა, ეხლა კი გაღმობძანდით!—შესძახა ჩარდახში ბასომ.—მოვედით! წმინდა გიორგიმ გვიბრალა და წვიმამ გზაში არ მოგვასწრო.

— კაი ნიშანია.—სთქვა დარწმუნებით სალომემ და თან ქმარს ლოგინი გადააწოდა.—ჩქარა დააგე რომ გადმოვიყვანო და ჩავაწვინო...

ბასო ცოლშვილიანათ მლოცავებისთვის აგებულ ოთახში მოთავსდა.

სერის წმიდა გიორგი შიშველა სერზე იყო წამომჯდარი. აქა-იქ მხოლოდ ძეძვის ჩირგვები მოჩანდა. მაღალ ხეებს აქ ადგილი არა ჰქონდათ და ქარი თავისუფლად დათარეშობდა. ხშირად დაუდეგარს მლოცავების თავშესაფარზედაც მიჰქონდა იერიში და დაანგრეულ ფანჯრებში ურახუნებდა.

— ეჰ! დედავ რა სიცივე მოაქვს ამ საშველს!—წამოიძახა ბასომ.

— კიდევ კარგი, მარტო ქარი ქრის!—წამოილაპარაკა სალომემ.—თორემ წვიმა რომ მოსულიყო, რაღა გვეშველებოდა?!

— გითხარ, გადავდოთ-მეთქი და არ გამიგონე?—უთხრა საყვედურის კილოთი ბასომ ცოლსა.

— დედი, წყალი! — წამოიკვნესა ავადმყოფმა. წყალი მოუტანეს.

— შვილო, ყვავილებს ხელი უშვი!—უთხრა სალომემ ბალღსა.

— არა, დედი! მინდა მქონდეს.—ბავშვმა უფრო მაგრა ჩაბღუჯა ყვავილები და წამოწითლებულ ლოყებზე მოიცაცუნა.

საცოდავ იებს პაწია ხელების სიმხურვალე შეჰპარვოდათ, კინწი მოსწყვეტოდათ და თავებს ვეღარ იმაგრებდნენ.

— მომე, გენაცვალე, წყალში ჩავდგა.—მიმართა ისევ სალომემ ავადმყოფსა.—შენ კიდევ ხელები საბანს ქვეშ ჩაყავი რომ ოფლი მოგივიდეს.

— ღმერთო წმინდა გიორგი!—სთქვა ბასომ,—ნუ მიწყენ კია დე!..მაგრამ, აბა ამ ვერანაში რითი უნდა გავახურო ბუხარი? მე შენ გითხრა გახვალ თუ არა გარეთ მაშინვე ტყუპი დაგხვდება! ერთი ორი ღერი წამომიღია შინიდან და რას გაგვიხდება.

— ქრისტიანო, ამ ბიჭს სიცხემ უმატა!—სთქვა გულდაწყვეტით სალომემ.—მამაწოდე ე საბანი!

— მცხელა დედა, მცხელა! არ მინდა!—წამოიძახა ბალიამ, როცა მეორე საბანიც დახურეს და ღელღელაობა დაიწყო.

— წავიდე ერთი, იქნება გამხმარი ძეძვი ვნახო სადმე.—წამოილაპარაკა ბასომ და ოთახიდან გარეთ გავიდა.

წინწკლავდა.

— შეწყლა მაკლდი!—გაისმა უკმაყოფილოდ სიტყვები.

ბასომ ჯაგებს მიმართა: კაჭაჭებს და ხმელ ჩანჩხვარს დაუწყო ძებნა.

წვიმამ დაუშვა ხევები. ახმაურდნენ. ბასო ლაზარესებრ გაიზუნზლა და მაინც ვერა იშოვა-რა. ხელცარიელი დაბრუნდა. ოთახში რომ შევიდა ელდა ეცა: სალომე გაშტერებული დასცქეროდა ბალიასა. ავადმყოფს საბანი გადაეშვლოდა და პერანგის ამარა იწვა. მკლავები გადაეშხლართოდა გაღეღილ გულზე იები გადაჰფენოდა.

— რა არის ადამიანო?—შეეკითხა ბასო ცოლსა.

სალომ თვალები უაზროთ მიატრიალ-მოატრიალა.

ბასომ ბავშვს ხელი წაავლო და სიცივე იგრძნო.

—ვერც ხატმა...ვერც ხატმა უშველა!—წამოიკვნესა გულსაკლავად და მწარედ აქვითინდა.

ან—ბანი.

(შემდეგი იქნება)

## ბერმონაზონთა კრების გამო*)

სექტემბრის 3 ქ. თბილისში დაიწყო ბერმონაზონთა კრება საქართველოს ყველა მონასტრებისა, რომელიც იხილავს შემდეგ საკითხებს.

1. მიზანი და დანიშნულება საქართველოს მონასტრების და ბერმონაზვნებისა ჩვენს დროში;

2. საშუალებანი ძლევანდელ მონასტრებისა და ბერმონაზნურ ცხოვრების აღდგენა და განახლებისათვის.

3. დისციპლინის აღდგენა მონასტრებში და სამონასტრო წესდება.

4. სამონასტრო მართვა-გამგეობა და სხვა.

ეს კრება რომ დროული და საჭირო, ამაზედ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდგან ამ კრებამ დასაბუთებული დადგენილებანი უნდა წარუდგინოს 8 სექტემბრის სრულიად საქართველოს მომავალ საეკლესიო კრებას დადგენილებათა დადასტურებლათ. მე მინდა მხოლოდ განსახილველ საკითხთა შორის შევიტანო საკითხი მონასტრებში სამეურნეო დარგის შემოღების შესახებ, რასაც ამ თავითვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. აუცილებლათ ბერ-მონაზვნებს უნდა მოეთხოვოს, მეურნეობას მეტად დიდი ყურადღება მიაქციონ და, სადაც კი შესაძლებელი და მოსახერხებელი იქმნას, მეურნეობას ფართოდ მოჰკიდონ ხელი. უნდა ეცადონ მონასტრების თავისუფალ ადგილებში გააკეთონ ბაღ-ბოსტნები, გააკეთონ გაუმჯობესებული ჯიშის ხეხილის სანერგე სანამყენეები, თუთის სანერგეები, სანერგეები სამკურნალო ბალახ-მცენარეთა; მიაქციონ დიდი ყურადღება სამონასტრო ტყეების მოვლა-მოშენებას; ხელი მიჰყონ მეფუტკრეობას, გაუმჯობესებულ შინაურ ფრინველთა მოვლა-მოშენებას და სხვათა მსგავსთა ამისათა და მერე ზოგი მუქთათ და ზოგი დაკლებულ ფასებში მიაწოდონ ქართველ ხალხს და ასე და ამნაირად ჩვენმა ბერმონაზვნებმა უპირველეს ყოვლისა თავიანთ თავს უნდა გაუჩინონ მეურნეობის ხელის მოკიდებით არსებობის წყარო, რომ მუდამ შიმშილ-წყურვილზედ არ წუწუნობდენ და ჩვენს მშრომელ ხალხსაც მისაბაძ მაგალითთან ერთად მისცენ საშუალება მეურნეობის დარგების ძლიერ განვითარებისა, რაიცა ამ ჟამად მეტად გულმოსაწყვლელ მდგომარეობაში იმყოფება.

დროა ქართველ ბერ-მონაზვნებმა წაბაძონ ევროპის განათლებულ სახელმწიფოთა თავიანთ თანა ძმებს, რომელთაც დიდი და მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვისთ თავიანთ ერების ეკონომიურ ღონიერებაში მეურნეობის ხელის მოკიდებით და ხალხში მისი გავრცელებით.

მღვ. ვლ. მაჭარაშვილი.

## წყლის ენერგიის მოხმარების კანონი*)

კანონპროექტის შემუშავების ინიციატივა ეკუთვნის ისევ გზათა სამინისტროს, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა ის შემდეგი სახელით: „კანონპროექტი წყალვარდნილების და წყლის ძალის გამოსაყენებლად საჭირო მდინარეების მიდამოების საზოგადო და სახელმწიფო მნიშვნელობად გამოცხადებისა“. („Объ объявленіи средоточій силы паденія воды или пространствъ водныхъ теченій, пригодныхъ для образованія означенныхъ средоточій, имѣющими государственное или общественное значеніе“).

ძირითადი იდეა კანონპროექტისა გამოიხატება შემდეგში: წყლის ენერგიის გამოყენების უფლება ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს, რომელიც ან თვითონ აარსებს საზოგადოებისათვის სასარგებლო ჰიდრავლიურ მოწყობილებას და ან კონცესიის წესით უთმობს ამ უფლებას კერძო პირს იმ შემთხვევაში, თუ დაინახავს, რომ ეს პირი ღირსია სახელმწიფო მფარველობისა და დახმარებისა. ამ დებულებას გზათა სამინისტრო ამტკიცებს შემდეგი მოსაზრებით: ბუნებრივი წყალვარდნილები და იმგვარი მიდამოები მდინარეებისა, სადაც შესაძლოა წყლის ენერგიის გამოსაყენებლად ჰიდრავლიური მოწყობილობის აგება, წარმოადგენს დიდ ეროვნულ საუნჯეს. იმის კარგად და ჭკვიანად გამოყენებაში დაინტერესებულია, როგორც ეხლანდელი სახელმწიფოებრივი და კერძო მრეწველობა, აგრეთვე მომავალი შთამომავლობათა კეთილდღეობა. მიმოსვლის ტეხნიკის გაუმჯობესობა, სახელმწიფოს დაცვის საქმე იმდენად დამოკიდებული არიან წყლის ენერგიის მოხმარებაზე, რომ სახელმწიფო ვერავის დაუთმობს ამ უფლებას, თუ მასში თვითონ საჭიროებს.

იმ შემთხვევაშიდაც კი, როცა შესაძლებელია კერძო პირთა ხელში გადაცემა წყლის ენერგიისა, მასთან თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია სახელმწიფო და საზოგადო ინტერესები. რადგანაც „თეთრი ნახშირი“ შესაძლებელია დიდ მანძილზედ იქნეს დარიგებული (შეერთებულ შტატებში 500 კილომეტრამდე) მაღალვოლტიან გადაცემით—ცხადია, მთელი ის მიდამო, რომელშიდაც ელექტრონის ენერგია რიგდება, დამოკიდებული იქნება ჰიდროელექტრიულ სადგურის მწარმოებლისაგან და ამ რიგად ერთგვარი ადგილობრივი მონოპოლია არსდება. ჰიდროელექტრონურ სადგურის პატრონი ხდება ხელმძღვანელად მთელი მიდამოს მრეწველობისა. აქედან ცხადია, რომ კერძო პირთა უფლება წყლის ენერგიის გამოყენებისა უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფოებრივ კონტროლის ქვეშ. კანონპროექტის აზრით სახელმწიფო არა თუ მარტო თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს ჰიდროელექტრონურ სადგურის მუშაობას, არამედ მასვე ეკუთვნის გადამწყვეტი სიტყვა იმაში, თუ როგორი ჰიდრომექანიკური მოწყობილობა სჯობია სახელმწიფოს სარგებლობის მიხედვით ყოველ კერძო შემთხვევაში ე. ი. სახელმწიფო განიხილავს და ამტკიცებს ჰიდრო-ელექტრონულ სადგურების პროექტებს.

გზათა სამინისტროს კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ შემთხვევებს წყლის ენერგიის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის აღიარებისას: 1) თუ წყლის ენერგიის გამოსაყენები მოწყობილება აგებულია რკინის გზების ელექტრო-ფიკაციისათვის, ასაფეთქებელი მასალების მოსამზადებლად და სხვ., 2) თუ წყლის ენერგია ესაჭიროება სამრეწველო დაწესებულებებს, რომელთაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ და რომლებისთვისაც იაფი ელექტრონის ენერგია თითქმის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, 3) თუ წყლის ენერგია საჭიროა სამოსახლო ადგილებში ელექტრონის ძალის დასარიგებლად, 4) თუ წყლის ენერგია საჭიროა მეურნეობის სამელიორაციოთ, 5) თუ ის საჭიროა იმ გვარ სამრეწველო მოწყობილობისათვის, რომელიც თუმცა არ შეიცავს ზემოთ აღნიშნულ თვისებებს, მაგრამ დაკავშირებულია ნავოსნობის გაუმჯობესებასთან, 6) თუ საჭიროა დაცული იქნას ღვარის ექსპლოატაციისაგან და გაფუჭებისაგან რომელიმე ჰიდრავლიური სიმდიდრე.

თუ შესაძლოდ სცნობს, სახელმწიფო გადასცემს ყოველ კერძო შემთხვევაში წყლის ენერგიის ექსპლოატაციას კერძო პირს, საერობო ან ქალაქის დაწესებულებას და მასთანვე უფლებას ანიჭებს მათ ქონების ძალით გამოსყიდვისას. უპირატესობა ეძლევა საერობო და ქალაქის დაწესებულებებს. სახელმწიფოს უფლება აქვს ძალით გამოიყიდოს კერძო მფლობელობიდან და ხაზინის საშუალებით ამუშაოს ჰიდრავლიური მოწყობილობა.—კონცესიის ვადა არის 60 წლიწადი და ეს ვადა შესაძლებელია ორჯერ გადიდდეს 20 წლით. ვადა ჰიდროელექტრონულ მოწყობილობის განხორციელებისა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. ხაზინის მიერ გამოსყიდვის უფლება ინიშნება არა უგვიანეს 30 წლისა. საკონცესიო ვადის დალევისთანავე მთელი მოწყობილება უსასყიდლოდ გადადის ხაზინის მფლობელობაში.

ამასთანავე კანონ-პროექტი შეიცავს ერთს ძლიერ მნიშვნელოვან (შეენიშნავთ, ძლიერ საკამათო) პუნქტს. ის ამტკიცებს რომ მიწების გამოსყიდვის დროს არ უნდა იქმნეს მიღებული მხედველობაში ღირებულება, რომელსაც იძენს მიწა ჰიდრავლიურ მოწყობილობის შესაძლებლობის გამო ე. ი. მიწა დაფასდება ისე, თითქო მისი ღირებულება მხოლოდ სამეურნეო თვისებით განისაზღვრებოდეს.

გზათა სამინისტრო ამ პუნქტს იმით ამართლებს, რომ წყალის ენერგია ჯერ სამოქალაქო ბრუნვაში არ შესულა. ამ პუნქტს ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

მოყვანილი კანონ-პროექტი ჯერჯერობით არ ეხება კავკასიას, ყირიმს და თურქესტანს, რადგანაც, გზათა სამინისტროს აზრით, ამ მხარეების ადგილობრივი თვისებანი მოითხოვენ დამატებითი შესწავლას საკითხისას, რომ კანონ-პროექტმა ძირითადად არ დაარღვიოს ამ მხარეების ადგილობრივი ადათი. მაგრამ ზემოთ მოყვანილიდგან ცხადად სჩანს, თუ რა გზას ადგანან რუსეთის გზათა სამინისტროში და რა ელფერი ედება წყლის ენერგიის გამოყენების კანონმდებლობას რუსეთში.

რასაკვირველია, დაწვრილებითი განხილვა ხსენებულ კანონ-პროექტისა გაზეთის ფურცლებზე ვერ მოხერხდება. ეს საზოგადოდ ძნელი და დიდი საქმეა, რომლისათვისაც საჭიროა სერიოზული მუშაობა ტეხნიკურ და იურიდიულ ძალებისა. მაგრამ ზოგიერთი მხარეები კანონ-პროექტისა იმდენად არა სასურველად მეჩვენება ტეხნიკის აყვავებისათვის, იმდენად ცალმხრივად, რომ არ შეგვიძლია არ მივუთითოთ მათზე მკითხველებს.

პირველ თვალის გადავლებისთანავე კანონ-პროექტში ვხედავთ იმავე შეუცდარ დედა-აზრს, რომელსაც მუდამ ატარებდა რუსეთის სახელმწიფოებრიობა. აქაც უნდათ საკითხები გადასწყვიტონ ერთ ცენტრში, უნდათ ყველა ადგილობრივი მოთხოვნილებანი წყლის მრეწველობისა დააკმაყოფილონ ერთი ადგილიდან, ერთი წერტილიდან. ჩვენ აქ არ შევეხებით ეროვნულ საკითხს, რომელსაც იმ გვარ ფედერაციულ სახელმწიფოში როგორიც რუსეთია, დიდი გავლენა აქვს „თეთრი ნახშირის“ მრეწველობის მოწყობაზედ. ეს საკითხი და მისგან მრეწველობის დამოკიდებულება ცალკე განსახილველია. რუსეთის ეროვნულ სხვა და სხვაობისგან დამოუკიდებლად, წარმოუდგენელია ისეთი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც ერთ წერტილიდან აკმაყოფილებდეს „თეთრი ნახშირის“ ტეხნიკურ მოთხოვნილებებს ამ ვებერთელა სახელმწიფოში. ჰიდრო-ელექტრონულ ენერგიის მოხმარების საქმე უმეტესად ადგილობრივი საქმეა და შეუძლებელია მასში უმთავრესი როლი ადგილობრივმა თვითმართველობამ არ მიიღოს. ადგილობრივი თვითმართველობის მონაწილეობა მხოლოდ თვალ-ყურის დევნაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს — თვით იურიდიული ნორმებიც შეთანხმებული უნდა იქნენ ადგილობრივ ინტერესებთან და ბუნებრივ პირობებთან. შეუძლებელია, ციმბირის მდინარე ენისეის, ან ირტიშის ნაპირები სრულებით იმ იურიდიულ ნორმებს ექვემდებარებოდნენ, როგორც, მაგალითად, შუა რუსეთის მდინ. სვიაგის, ან კიდევ ჩრდილო-კავკასიის მდ. კუბანის ნაპირები. გარდა ამისა უმთავრესი სიყალბე ამ საკითხის ცენტრში გადაწყვეტისა იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალისტობას მხოლოდ მაშინ აქვს საფუძველი, თუ ცენტრი დაწინაურებულია განაპირა ადგილებთან შედარებით და ერთგვარ ხელმძღვანელობას იჩენს. აქ კი მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს, რომ ციმბირიც, კავკასიაც, ყირიმიც და სამხრეთი რუსეთიც უფრო მალე შეითვისებენ და განახორციელებენ „თეთრი ნახშირის“ იდეას, ვიდრე შუა რუსეთი, რომელსაც ნაკლებად მოეპოვება იაფი და ადვილად გამოსაყენებელი ჰიდრავლიური ძალები. ამასთანავე მდგომარეობაში იპოვება, მაგალითად, ინგლისის მეტროპოლია, რომელიც „თეთრი ნახშირის“ გამოყენების საკითხში ბევრად ჩამორჩენილია თავის კოლონია კანადისაგან; მაგრამ ინგლისი იმდენად ჭკვიან კოლონიალურ პოლიტიკას აწარმოებს, რომ არა თუ ბორკავს თვითმართველობის შემოქმედებითი მუშაობას, არამედ ყოველნაირად უწყობს მას ხელს და ამით რჩება დიდ მოგებაში, რადგანაც ადგილობრივი საკითხები, კერძოდ კი ადგილობრივი მრეწველობის საკითხები, უფრო სამართლიანად და საგულისხმიეროდ სწყდებიან. ერთი სიტყვით „თეთრი ნახშირის“ საკითხი, ისევე როგორც სხვა დარგის მრეწველობის საკითხები, უნდა იქნას აღიარებული ადგილობრივ საკითხებად და რუსეთის სახელმწიფოებრიობა იმ აზრს უნდა შეეჩვიოს, რომ სახელმწიფო არსებობს მის ნაწილებისათვის და არა ნაწილები სახელმწიფოსათვის. მე-20 საუკუნეში და თანამედროვე ტეხნიკის განვითარების დროს სასტიკი ცენტრალისტობა მგონი ვერც პაწია ბელგიაშია შესაწყნარებელი, რუსეთისთვის კი ეს სისტემა, ნამდვილად დაღუპვის სისტემა იქნება.

ინჟ. ზ. ჭიჭინაძე.

(დასასრული იქნება)

## კორესპონდენცია

### სამეგრელოდან

**საეკლესიო კრების არჩევნები.** დ. აბაშის გარემოსი. მარიამობისთვის 27. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი წვიმა იყო, ხალხი არა ჩვეულებრივი სიხარულით მიეშურებოდა საყდრისაკენ, სადაც უნდა აერჩიათ წარმომადგენელი, საოლქო კრებაზე გასაგზავნად. არჩევანი ყოველგან სასიხარულოდ ჩატარდა.

მარიამობისთვის 30 ს. დ. აბაშაში შესდგა სუჯუნისა და აბაშის ოლქის სამღვდელოებისა და საეროთა წარმომადგენელთა კრება, რომელთაც უნდა აერჩიათ დელეგატნი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის ასარჩევად. კრებამ სუჯუნის ოლქის სამღვდელოებისა და მედავითნეთა მხრით აირჩია: მღ. ნიკოლოზ მიმინოშვილი და მღ. სევასტი კვინჭტირაძე; ერისაგან: ანდრია ხონელიძე და ფარმაცევტი მიმინოშვილი. აბაშის ოლქის კრებამ დელეგატად სამღვდელოებისა და მედავითნეთა მხრით აირჩია: მღ. კალისტრატე კაპარავა და მედ. იაკობ ჭანტურია; ერისაგან: დიმიტრი ჩიჩია და ალექსანდრე მარღანიძე.

ს. ქ.

### მთიულეთიდან

**ფასანაური.** ამ ჩვენს პატარა დაბასაც გამოცოცხლება დაეტყო. ეს ასეც უნდა იყოს ვინაიდან ფასანაურია ერთად ერთი ცენტრი მთიულეთისა, რომლიდგანაც ხალხი ელის მუდამ ყოველივე საქმის დაწყებას და მეთაურობას. ეს არის მაიაკი, ნავთსაყუდელი ურომლისოდაც ხალხს სხვა გზა არა აქვს და მასზედ უნდა იყოს მიქცეული ყოველივე გულის ყური შეგნებულ ადგილობრივ ინტელიგენციისა.

ამ ზაფხულს აქ, ადგილობრივ ქალთა ჯგუფის მეთაურობით, გაიმართა ქალთა მომავალ სახლოსნო სასწავლებლის სასარგებლოდ ორჯელ წარმოდგენა. პირველი დაიდგა 27 ივლისს „დარისპანის გასაჭირი“ და „ქურდი“. რომლიდანაც წმინდა შემოსავალი დარჩა 384 მან. 65 კაპ; მეორედ 28 აგვისტოს სკოლის დარბაზში დასდგეს „დედა და შვილი“, „კაკო ყაჩაღი“ და „მედუქნე“ ზედ დართული ჰქონდათ ლატარია ალეგრი და, ხარჯთ გარედ, წმინდა შემოსავალი დარჩათ 261 მ. 5 კაპ. ხოლო ხარჯი იყო 231 მან. 65 კაპ.

მადლობის ღირსნი არიან ქალთა წრის გამგეობა თვისი გარჯილობით და დაუღალავი მუშაობით: ქ.ქ. ალექსანდრა ფუცხვერია, ალექსანდრა კობაიძე, ელენე ჩოხელი და სხვა ქალები რომლებიც თავიანთ წვლილს და შრომას არ აკლებენ ამისთანა წმინდა საქმეს.

ივლისისა და აგვისტოს შუა რიცხვებში გაიმართა კიდევ ორი წარმოდგენა: საბავშო, რომელშიაც იღებდენ მონაწილეობას მხოლოდ ეროვნულ დემოკ. ახალ გაზრდათა ბიურის და ადგილობრივ სცენის სასარგებლოდ და „არსენა“, ერთ სცენის სასარგებლოდ და წმიდა შემოსავალი [illegible] პირველად 150 მ და მეორედ 60 მანეთამდე; აქედან ბიუროს გაუგზავნეს 80 მანეთი რომელიც გამოცხადებული იყო გაზეთშიც.

დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვით სცენის მოყვარეთა ჯგუფს უანგარო სამსახურისათვის: კატო ნაზღაიძეს, ილო ჩოხელს, კოლა პარკაძეს, საშა ჩოხელს, გრიშა ნაზღაიძეს, ნინა ჩოხელს, სვიმონ ნავაძეს, ალ. გულბათაშვილს და სხვებს... რომელთაც დიდ მადლობას უძღვნის მთელი ფასანაური.

ალ. კავკასიძე.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

## კალენდარი

### ხუთშაბათი ენკენისთვის

### 7

**ქართვ.** წმ. წინა-დღესასწაული წმინ. ღვთისმშობლისა და წმ. მოწ. სოზონისა.

**კათოლ.** წმ. რეგინა და თეოფილესი.

**სომეხ.** აბრაამი, ხორენა და ასატურ მოწამეთა.

**მაჰმად.** პიანჯ-შამბე 3 რ.ზულკადა 1335 წ. ჰეჯრისა.

**ებრაელ.** იომხამიშ 4 რ. თიშრისა 5673 ქვეყ. შექმნ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(ტფილ. ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | სამგზ. | № 8, | 11.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 საღ. |
| ბაქოსაკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.15 საღ. |

**თბილისში შემოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.83 საღ. |
| ხაშ.-მიხეილ. | სამგზ. | № 20, | 7.48 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| ყარსიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.60 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 დილ. |


ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

კ უ რ ს ე ბ ი

# ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—16

# საავადმყოფო

სამხიდრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილიდან 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჯე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.

გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.

ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.

მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.

ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.

ბეგზადოვი—ქალთა და საშვებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.

თოხელიანი—ქალთა და საშვებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.

ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.

დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.

ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.

აღიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—60



1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 2 მანეთი. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდე.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდე.

რედაქტორი დ. კვარაცხელია.


*) იხ. გაზ. „საქართველო“ს № 191.

*) იხ. „საქართველო“ № 196.